ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## „მორაგბეები რომ მივიდნენ, გიორგი შაქარაშვილი იქ აღარ იყო“

გვ.5



„გიგა ტატიაშვილი იუბილარის კლასელია... ნახალოვკელებს საბურთალოელები მისდევდნენ“

პარასკევი, 26 ივნისი, 2020 №137 (8401) ფასი: 60 თეთრი

# „კალაძის კორუფციულ საქმეებს „ოცნება“ და ანტიკორუფციული სამსახური იძიებენ“



გვ.2

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „კალაძემ მეტროს გასარემონტებლად იქ თავისი ფეხბურთელი ძმაკაცები ჩაუშვა!“



„ჩვენ ვეღარ ვხედავთ მის პირველ მოადგილეს, ხმალაძეს, რომელიც აქტიური იყო. რატომ ვერ ვხედავთ?! იმიტომ, რომ ეს კაცი უკვე გამზადებული იყო დასაჭერად კორუფციის გამო. ფაქტობრივად, მანქანაში ჩასმული გადმოსვლა და გააქრო კალაძემ“

## „ივანიშვილმა ეს ქვეყანა ლამის საკუთარ სახელზე გადაიფორმოს!“



გვ.3



ლაშა ჩხარტიშვილი: „მთავრობა აუცილებლად იქნება კოალიციური. 30-წლიანი ბელადომანია, ერთპიროვნული მმართველობა, რომელმაც კარგი არაფერი მოგვიტანა, წარსულს უნდა ჩავაბაროთ“



გვ.3

## „ელისაშვილს დამოუკიდებლად არჩევნების მოგება გაუჭირდება“

ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიცია ბაჩო ახალაიას გათავისუფლების საკითხს რატომ არ აყენებს? არ არის პოლიტპატიმარი?!“



## ვახტანგ მაისაია: „რუსეთი ტერორიზმის წყაროა“



გვ.4



გვ.4

## ლევან ჩაჩუა: „ახალი საარჩევნო მოდელი ვერაგული ხრიკია“

„საზოგადოებას, ნაცებისა და ქოცების გარდა, მათი ფილიალებიც არ უნდა“

ISSN 1987-9385


2 სუსი: „მთავარმა არხმა“ დეზინფორმაციული სიუჟეტი მოამზადა“

5 პროკურატურამ ადვოკატი გ.ჩ. ქრთამის მიცემისთვის დააკავა

5 ელმირა წულაიამ ყოფილი ქმრისგან ფულის მისაღებად დახმარება ქურდებს სთხოვა

6 ისრაელმა უცხოელებისთვის ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 1 აგვისტომდე გაახანგრძლივა

# „კალაძის კორუფციულ საქმეებს „ოცნება“ და ანტიკორუფციული სამსახური იძიებენ“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „კალაძემ მეტროს გასარემონტებლად იქ თავისი ფეხბურთელი ძმაკაცები ჩაუშვა!“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი დიმიტრი ბიძინაშვილი პასუხობს.**



***– დიმიტრი, ბოლო პერიოდში გვესმის შეფასებები, რომ თბილისის მერმა კახი კალაძემ საზოგადოებაში სერიოზული ნეგატივი დააგროვა. ის რამდენიმე დღეა, მედიასაც უტევს. საბოლოოდ დაკარგა სახეო. ასეა?***

– კალაძეს ისედაც დაკარგული ჰქონდა სახე. უბრალოდ, იმ პიარით, რომელშიც ათეულობით მილიონ ლარს ხარჯავდა, რაღაცნაირად უნარჩუნებდნენ სახეს. კალაძე თავიდანვე იყო ერთი თავხედი ადამიანი, რომელიც ყველას ასე ექცეოდა, ვინც არ იყო მის აზრზე. ახლა ეს მედიაზე შეტევაც გამოწვეულია იმით, რომ გამუდმებით კალაძესა და მის კორუფციულ სქემებზე ტელევიზიებით გადის ინფორმაცია და ახლა ცდილობს, რამენაირად შეცვალოს ეს. მაგრამ ფაქტი ერთია, რაზეც ტელევიზიები, ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი საუბრობენ. მილიონობით ლარია დახარჯული ამა თუ იმ პროექტზე, ამ რეაბილიტაციის შემდეგ მიდიხარ, იქ განადგურებულია ყველაფერი და ჭაობი გხვდება. ამის ნახვა ხომ ჩვეულებრივ მოქალაქეს შეუძლია. გამოდის და ამბობს, რომ ფეიკნიუსია, თურმე ჩვენ შავ პიარს ვუგორებთ...

***– სიცრუის ტირაჟირება მიდისო.***

– კი, ასე ამბობს და ის 9 მილიონი, რომელიც ჩვენ დავხარჯეთ, სწორად დავხარჯეთ, ეგ სულ სხვა ავტოსადგომიაო. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მივიდეს პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ჩავიდეს ავტოსადგომში და ნახოს, რომ იქ მართლაც ჭაობია. ჩვენ ასევე გვახსოვს, მაგალითად, ვარკეთილის მეტროს რეაბილიტაცია, სადაც ჭერი ჩამოინგრა. ვნახეთ სხვადასხვა პროექტის რეაბილიტაცია, რომლებსაც წლები დასჭირდა.

***– ჭავჭავაძის გამზირს დასჭირდა ორი წელი და საბოლოოდ მაინც ვერ დასრულდა...***

– ორ-ნახევარკილომეტრიან ჭავჭავაძის გამზირს წლები დასჭირდა, რომ მისი რეაბილიტაცია მოეხდინათ და კიდევ არ არის დასრულებული. ხალხს ეუბნება, ცოტაც მაცადეთ და გავხსნიო. იგივე გლდანში ხიზანიშვილისა და ვეკუას ქუჩები. იგივე, მაგალითად, დიღმის ჭალების დამარხვის ამბავი. ამ ყველაფერზე ეს კაცი ამბობს, ფეიკნიუსია და რეალურად არ ხდებაო. მაგრამ ხალხი ხომ ყოველდღე უყურებს იმას, რაზეც ამბობს კალაძე, არა, აქ ყველაფერი რიგზეაო. ვარკეთილელი რომ მივა ვარკეთილის მეტროში, ჭერს ახედავს და ის ჭერი რომ ჩამონგრეულია, კალაძის ლაივჩართვა უშველის ამას?!

***– რა ხდება?***

– არა მარტო ოპოზიცია იძიებს მის კორუფციულ საქმეებს, არამედ მისივე თანაგუნდელები და ანტიკორუფიული სამსახურიც. „ოცნების შიგნით“ თავადვე ადასტურებენ, რომ კალაძეზე უამრავი კომპრომატი არსებობს და ძიება მიმდინარეობს.

***– უკვე ძალიან ბევრი ავტოგოლი გაიტანა პოლიტიკურ კარში და ბიძინა ივანიშვილთან სერიოზულ დაპირისპირებაშიაო. თქვენ რა ინფორმაციები გაქვთ?***

**„ჩვენ ვეღარ ვხედავთ მის პირველ მოადგილეს, ხმალაძეს, რომელიც აქტიური იყო. რატომ ვერ ვხედავთ?! იმიტომ, რომ ეს კაცი უკვე გამზადებული იყო დასაჭერად კორუფციის გამო. ფაქტობრივად, მანქანაში ჩასმული გადმოსვა და გააქრო კალაძემ“**

– კალაძე ყველანაირად ცდილობს, გისოსებს მიღმა არ მოხვდეს. თუმცა ამის ძალიან ბევრი მიზეზია. მათ შორის, უსაფრთხოების სამსახურს აქვს გამოძიება დაწყებული იმაზე, რომ მან ერთ ლარად თავის ძმაკაცს თბილისელების 16 მილიონი ლარის ქონება გაუფორმა და ამაზე მიმდინარეობს გამოძიება. დაკითხული არიან კონკრეტული ადამიანები, რასაც ადასტურებს სუსი. კალაძეზე არა მარტო ეს საქმე, არამედ უამრავი ასეთი საქმეა. ჩვენ ვეღარ ვხედავთ მის პირველ მოადგილეს, ხმალაძეს, რომელიც აქტიური იყო. რატომ ვერ ვხედავთ?! იმიტომ, რომ ეს კაცი უკვე გამზადებული იყო დასაჭერად კორუფციის გამო. ფაქტობრივად, მანქანაში ჩასმული გადმოსვა და გააქრო კალაძემ. ამდენი თვის განმავლობასი მისთვის თვალიც კი არავის მოუკრავს. რას ნიშნავდა ხმალაძის დაჭერა?!

***– რას?***

– მისი დაჭერა ნიშნავდა იმას, რომ ამ კორუფციულ სქემებს საბოლოოდ ხელს აწერდა კალაძე. როგორ წარმოგიდგენიათ, მისი პირველი მოადგილე იყო ჩართული და კალაძემ არაფერი იცოდა?! ეს ხომ არის ტყუილი?! ამიტომ თბილისელებმა უნდა იცოდნენ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი, ის, რომ თბილისში ამდენი რამე ვერ კეთდება თავის დროზე, არის მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალი, რომ კალაძე შოულობს ფულს თბილისელების ხარჯზე. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ის პროექტები, რომლებსაც ის აკეთებს, არის უხარისხო, ხელმეორედ გასაკეთებელი, თუნდაც ავიღოთ კახეთის გზატკეცილის სათადარიგო გზა, სადაც 15 მილიონი დავხარჯეთ. გაიარონ ჩვენმა მოქალაქეებმა და ნახონ, ეს სათადარიგო გზა როგორ არის დანგრეული. გზა, რომელშიც 15 მილიონი გადაიხადეს თბილისელებმა! ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები გვეხმარებიან ფინანსურად, ის თანხები სწორად იყოს განკარგული. მაგალითად, ახლა 15 მილიონ ევროს გვაძლევენ მეტროს რეაბილიტაციისთვის, რომ იქ ძალოვანი კაბელი გამოიცვალოს. ამ დროს კი რა ხდება?!

***– რა ხდება, აქაც კორუფციის ნიშნებია?***

– კალაძემ თავისი ფეხბურთელი ძმაკაცები ჩაუშვა მეტროში და, დარწმუნებული ვარ, მეტროს პრობლემა ძალიან მალე დადგება დღის წესრიგში, იმიტომ, რომ ადამიანი, რომელსაც საკუთარ სახლში ნათურა არ აქვს გამოცვლილი, ჩაუშვეს მეტროში, რომ გამოცვალოს ძალოვანი კაბელი, იმ მეტროში, რის საშუალებითაც ჩვენი ასიათასობით მოქალაქე გადაადგილდება. კალაძეს კი ეს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ესეც არ იკმარა, ახლა ადგა და საკუთარი ინტერესებისთვის 30 მილიონს იხდის, რომ ჩამოიყვანოს ე.წ. მარშრუტკები. მილანში დარბის სულ და რომელი განვითარებული ქვეყნის დედაქალაქში ან ქალაქში უნახავს მას სამარშრუტო ტაქსები?! უნახავს, მილანში სამარშრუტო ტაქსი დადიოდეს?! ამ 30 მილიონს კი კომპანიის მაგივრად ჩვენი მოქალაქეები იხდიან.

***– ეს ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსები უნდა შეცვალოს ახლით?***

– დიახ, ასეა. ამ ყვითელი „მარშრუტკების“ ჩასანაცვლებლად თბილისელები იხდიან კერძო კომპანიის ფულს, 30 მილიონს. ეს კაცი, დედაქალაქის მერი, არის ბიუჯეტის ქურდი! თბილისელებს ჰპარავს ფულს! თბილისელების საჭიროებისთვის კი არ იხარჯება ჩვენი ბიუჯეტი, არამედ იხარჯება კალაძისა და მისი კლანის საკეთილდღეოდ. თქვენს მკითხველს ვეკითხები, გაიხსენონ პროექტი, რომელიც კალაძემ დაიწყო, დაასრულა თავის დროზე და რომ შემდგომ ამ პროექტს არ ჰქონოდა ხარვეზები.

***– ანუ მიიჩნევთ, რომ კალაძე წარუმატებელი მერია?***

– ამ კითხვაზე პასუხი არის ეგ. ვერ დამისახლებთ პროექტს, რომელიც მან დაიწყო და თავის დროზე წარმატებით დაასრულა, შემდეგ კი ამ პროექტს არ ჰქონოდა ხარვეზი და თავიდან გასაკეთებელი არ გამხდარიყო. ყველა მთავრობის სხდომაზე მუშტს აბრახუნებდა, სასწრაფოდ გამოასწორეთო. ცალი ხელით რომ მუშტს უბრახუნებს კომპანიას, მეორე ხელით მილიონობით ლარის ტენდერს აძლევს. „ჯეოგრუპი“, რომელმაც შემოვლითი გზის მშენებლობა ძალიან ცუდად შეასრულა და კალაძე სულ მუშტებს უბრახუნებდა, მეორე ხელით ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია სწორედ ამ კომპანიას მისცა! მერე უცებ აღმოვაჩენთ, რომ სწორედ ეს კომპანიები არიან ხოლმე არჩევნებზე კალაძის პირადი შემომწირველები.

***– წარუმატებელი პროექტების გამო დაეძაბა კალაძეს ივანიშვილთან ურთიერთობა თუ იმის გამო, რომ მის გარეშე მოინდომა დიდი ფულის კეთება?***

– კალაძეს თავის დროზე დიდი პოლიტიკური ამბიციები ჰქონდა და ესეც იყო მათი ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი, ასევე, რა თქმა უნდა, ფულის შოვნა მოინდომა მის გარეშე. ივანიშვილის გარეშე ფულის შოვნა როგორ მთავრდება, ძალიან კარგად ვიცით. ამოყოფენ ხოლმე გისოსების მიღმა თავს... კალაძე არის ადამიანი, რომელიც ბევრს იპარავს, ბევრის მოპარვის საშუალება აქვს, თორემ „ქართულ ოცნებაში“ თითქმის 90% კორუმპირებულია, თუმცა ისინი იმდენს არ იპარავენ, რამდენსაც კალაძე. წურბელებივით ასხედან ბიუჯეტს. სამ პროექტს ვერ დაასახელებენ ზედიზედ, რომლებიც წარმატებით განახორციელეს.

***– კალაძეს სერიოზული პოლიტიკური ამბიციები ჰქონდაო. 2020-ის არჩევნებზე რამდენად შეიკვეცება მისი ამბიციები?***

– თბილისის მაჟორიტარებიდან გამოჩნდება, რამხელა ამბიციები აქვს კალაძეს და რის უფლება მისცეს მას. ეს ადამიანები ძალიან კარგად ხვდებიან, რომ ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლებაში აღარ იქნებიან და ვეღარც იმ ადგილებს გადაინაწილებენ, რომლებიც დღეს აქვთ გადანაწილებული. დაახლოებით 30%-ის მანდატი რაც იქნება, აი, ეს ექნება „ქართულ ოცნებას“. 30%-ზე მეტს ოქტომბრის არჩევნებზე ვერ აიღებენ. ახლა ცდილობენ, ამ 30%-ის მანდატები გადაინაწილონ. ამ გადანაწილებაში, კალაძის გარდა, უამრავი სხვა პირია ჩართული. მათ შორის ბიძინა ივანიშვილისა და გახარიას ინტერესებია. ვიმეორებ, ის გამოძიება, რომელიც სუსში მიმდინარეობს, კალაძისთვის საბედისწერო შეიძლება იყოს. ხვალვე შეუძლიათ, კალაძე თავის მოადგილესთან ერთად დააკავონ თბილისელების ქონების გაფლანგვისთვის.



***– წინასაარჩევნოდ კალაძის მხრიდან მედიასაშუალებებზე თავდასხმა რამდენად მომგებიანია? ის ხომ „ოცნების“ ერთ-ერთი სახეა.***

– რა თქმა უნდა, წამგებიანია. კახი კალაძე ხომ უკვე დასრულებულია. მისი სახე ჩამოშლილია. თუ რამე სახე ჰქონდა შერჩენილი, მისმა გუშინდელმა ლაივმა საბოლოოდ ჩამოშალა. კალაძეს მინდა შევახსენო, როდესაც სხვას აბრალებს ფეიკნიუსების გავრცელებას, მის გარშემო „ქართული ოცნების“ დაქვემდებარებაში მყოფი უამრავი გვერდი, ბოტი, ტროლი და კოკა ყანდიაშვილი ალგავა პირისაგან მიწისა და გააქრო ფეისბუქიდან. ასე რომ, სანამ სხვისკენ გაიშვერს ხელს, უკან მიიხედოს.

# სუსი: „მთავარმა არხმა“ დეზინფორმაციული სიუჟეტი მოამზადა“

## ნიკა გვარამია: „სულ ტყუილად წვალობთ“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მთავარი არხის ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, მარნეულის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაავადებისგან გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს მედპერსონალი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გარდაცვალების მიზეზად კორონავირუსის დასახელების სანაცვლოდ გარკვეულ თანხას სთავაზობდნენ, 25 ივნისს განცხადება გაავრცელა.

„2020 წლის 20 ივნისს ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გადაცემა „შაბათის მთავარში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც მოსახლეობის დეზინფორმირების მიზნით სიცრუეზე აგებული. კერძოდ მასში საუბარია თითქოსდა მარნეულის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაავადებისგან გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს მედპერსონალი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გარდაცვალების მიზეზად ახალი კორონავირუსის დასახელების სანაცვლოდ გარკვეულ თანხას (3.000-დან 10.000 ლარამდე) სთავაზობნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ, საბოტაჟის ფაქტზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით გამოიკითხნენ ის პირები, რომელთა ინტერვიუებიც ტელეკომპანია „მთავარმა არხმა“ „შაბათის მთავარში“ გააშუქა. მოქალაქეებმა, რომლებიც სიუჟეტში არიან ნაჩვენები, გამოკითხვის დროს განაცხადეს, რომ ტელეკომპანია მთავარი არხის მიერ მომზადებულ სიუჟეტში მათი ინტერვიუები იყო დამონტაჟებული, კერძოდ, მათ ჟურნალისტს განუცხადეს, რომ არ ფლობენ ინფორმაციას მედპერსონალისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისათვის გარკვეული ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ სიკვდილის მიზეზად ახალი კორონავირუსის დასახელების თაობაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ტელეკომპანია „მთავარმა არხმა“ მოახდინა მათი აზერბაიჯანულენოვანი ინტერვიუების შეგნებულად არასწორი თარგმანი და მოახდინა ფაქტების დიამეტრულად განსხვავებული ინტერპრეტაციით გაშუქება, რის გამოც აღნიშნულმა პირებმა გამოხატეს დიდი უკმაყოფილობა და მოითხოვეს ფაქტზე სამართლებრივი რეაგირება.

გამოძიებით გამოიკვეთა, რომ ტელეკომპანია „მთავარმა არხმა“, ცალკეულ დაინტერესებულ ჟურნალისტებზე დაყრდნობით, მოამზადა დეზინფორმაციული შინაარსის სიუჟეტი, რომლის მიხედვით, თითქოსდა ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილთა ოჯახის წევრებთან დაკავშირებას და მათთვის თანხის შეთავაზებას იმისათვის, რომ მათ განეცხადებინათ, თითქოს მათი ოჯახის წევრი გარდაიცვალა ვირუსის შედეგად. აღნიშნული ქმედებით ტელეკომპანია „მთავარი არხი“, ერთის მხრივ, შეეცდებოდა ხელისუფლების დისკრედიტაციას და დაადანაშაულებდა მას მიზანმიმართულ უკანონო ქმედებაში, ხოლო მეორეს მხრივ საზოგადოებაში დათესავდა დაუცველობის განცდას და მსოფლიოში გამოცხადებული ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირების გზით, უარყოფით ზემოქმედებას მოახდენდნენ მოქალაქეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა მათ სამართლიან პროტესტს და ხელს შეუშლიდა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

გამოძიება ინტენსიურად გრძელდება საბოტაჟის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლის პირველი ნაწილით და შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე გადაწყდება შემდგომი სამართლებრივი რეაგირების საკითხი.

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებას თითქმის მაშინვე უპასუხა „მთავარი არხის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ.

„სუსსა და „ქართულ ოცნებას“ ვეტყოდი, რომ ტყუილად წვალობენ საბოტაჟით, ბავშვთა პორნოგრაფიითა და კალაძის ლაივებით.

რისიც გეშინიათ,#გახსნილია. დაელოდეთ ვიქენდს“, – დაწერა მან ფეისბუქში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ელისაშვილს დამოუკიდებლად არჩევნების მოგება გაუჭირდება“

## ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიცია ბაჩო ახალაიას გათავისუფლების საკითხს რატომ არ აყენებს? არ არის პოლიტპატიმარი?!“

იაგო ნაცვლიშვილი

**ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი და ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ამბობენ, რომ 8 მარტის შეთანხმება უნდა შესრულდეს. ფასილიტატორი ელჩები გააგრძელებენ მონიტორინგს, როგორ სრულდება შეთანხმება. ელჩები იმედოვნებენ, რომ პასუხისმგებლობის აღება მოხდება, რათა შეიქმნას ნდობა და საარჩევნო კამპანიაც ჯანსაღ და კონკურენტულ გარემოში წარიმართოს.**

ამის მიუხედავად, ხელისუფლება გიორგი რურუას პატიმრობაში ტოვებს, ხოლო ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენის დროსაც არ აპირებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

რამდენად გამართლებულია ოპოზიციის მოქმედების სტრატეგია და ხომ არ უშვებს ამით შეცდომას? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

***– ევროკავშირის ელჩმა პირდაპირ მოუწოდა ოპოზიციას, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღოს, ცვლილებების მაღალი ლეგიტიმაციისთვის იქნება კარგიო. ხომ არ უნდა თქვას ოპოზიციამ უარი ბოიკოტზე და რურუას თემაზე ბრძოლა სხვა ხერხებით გააგრძელოს?***



– ვეთანხმები ევროკავშირის ელჩის პოზიციას. თქვენთან ინტერვიუშიც აღვნიშნე, რომ ოპოზიციამ ყველა შემთხვევაში უნდა მიიღოს მონაწილეობა განხილვებში. სხვათა შორის, გიორგი რურუამაც მოუწოდა ოპოზიციას კენჭისყრაში მონაწილეობისკენ. შესაძლებელია, რურუას საკითხი ისევ იყოს დღის წესრიგში, მაგრამ, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების აუცილებლობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიცია დაესწროს სხდომებს. პირველ მოსმენაში „ევროპული საქართველო“ მონაწილეობდა, მაგრამ, კარგი იქნება, თუ ცვლილებებში მონაწილეობას მიიღებენ.

„ოცნებას“ ექნება ასეთი დამოკიდებულება, რომ „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე უარს ამბობენ, მაშინ როცა თვითონ ითხოვდნენ ამასო.

***– თქვენ უკვე არაერთხელ.***

– კი და კიდევ ბევრჯერ გაიმეორებენ მომავალშიც. იტყვიან, ჩვენ წავედით დათმობაზე და 8 მარტის შეთანხმებას მოვაწერეთ ხელი, ისევე, როგორც ოპოზიციამ, მაგრამ ოპოზიცია არ ასრულებს თავის ვალდებულებასო. ბუნებრივია, ოპოზიციას უნდა მიეღო მონაწილეობა განხილვებში.

მე, პირადად, ოპოზიციასთან სხვა კითხვებიც მაქვს. გიორგი რურუა არ არის პოლიტიკური ფიგურა და პოლიტიკური თანამდებობა არასდროს ეკავა, მაგრამ მე მაქვს კითხვა, რატომ არ დგას დღის წესრიგში ბაჩო ახალაიას გათავისუფლების საკითხი? ის ნამდვილად იყო პოლიტიკური ფიგურა. მას ეკავა თავდაცვის მინისტრისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობა.

***– ახალაიას დაჭერაც პოლიტიკურად მოტივირებული გგონიათ?***

– კი. ბევრი რამე გამოუგონეს და ბევრი რამე ვერ დაუმტკიცეს. ხომ გვახსოვს ეს!

***– რაც ვერ დაუმტკიცეს, იმაზე სასჯელს არ იხდის.***

– ყოველ შემთხვევაში... ეგრე რურუაზეც იძახიან, რომ იარაღის შეძენა-შენახვაზე იხდის სასჯელს.

***– ამერიკის ელჩმა თქვა, ყველას გვსურს, 8 მარტის შეთანხმების ორივე ნაწილი შესრულდესო. ეს მოწოდებაა ხელისუფლებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც, რომ თავიანთი ვალდებულებები შეასრულონ?***

– კი. მე ასე მგონია. მოთხოვნაა, რომ გათავისუფლდეს გიორგი რურუა და, მეორე მხრივ, მოთხოვნაა ოპოზიციის მიმართ, რომ მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო დებატებში. ხომ იღებენ მონაწილეობას პარლამენტში მისვლაში?! ხომ მივიდნენ გიორგი გახარიას პარლამენტში მისვლის დროს?! მაშინ რატომ არ აპროტესტებდნენ და რატომ მივიდნენ?!

ეს ცვლილებები გავა დიდი ალბათობით, მაგრამ „ოცნებას“ ექნება შესაძლებლობა, ოპოზიციას არაკონსტრუქციულობა და უპასუხისმგებლობა დააბრალოს და უკვე გამოითქვა ასეთი ბრალდებები.

***– საზოგადოებისგანაც ხომ არ ჩნდება პრეტენზიები ოპოზიციის მისამართით თუნდაც იმ დაპირისპირების გამო, რომელიც ოპოზიციაშია?***

– სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაში ვერ ხდება შეთანხმება, თუმცა თბილისში 6 ოლქში უკვე შეთანხმდა ოპოზიცია, რეგიონებში ცალცალკე წარადგენენ მაჟორიტარებს, მაგრამ თანამშრომლობა მაინც სახეზეა. რაც შეეხება ელისაშვილისა და ბოკერიას დაპირისპირებას, ეს იმიტომ, რომ ელისაშვილი თამაშობს დამოუკიდებლად. თუ გახსოვთ, მან მოუგო „ოცნების“ კანდიდატს. შესაძლოა, ამით დარწმუნებულია და სურს ითამაშოს დამოუკიდებელი თამაში.

***– გამოუვა?***

– ამჯერად გაუჭირდება. ელისაშვილთან სხვა კითხვები მაქვს. გახსოვთ, როგორ ექცეოდა ის თავის დროზე „ოცნების“ ოპონენტებს. „კავკასიაზე“ მისი გადაცემის სტუმარი არაერთხელ ვყოფილვარ. მერე ამბობდა, ივანიშვილს ვუჭერდი მხარსო და ხუხაშვილთან ერთად ეწეოდა მის პროპაგანდას.



***– მაგ ლოგიკას რომ გავყვეთ, ბევრი ივანიშვილთან ერთად ხელისუფლებაში იყო, მათ შორის „რესპუბლიკელები“, გუბაზ სანიკიძე, უსუფაშვილი და ა.შ.***

– მე თქვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ ბოლომდე არ ვენდობოდი დავით ზურაბიშვილს, რომელიც აცხადებდა, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო. მათგან ზოგის პოლიტიკურ ანალიზში მეპარება ეჭვი, ზოგის – გულწრფელობაში. მაგალითად, ბერძენიშვილებს პატივს ვცემ მათი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე. საბჭოთა კავშირს ებრძოდნენ, ასლან აბაშიძის რეჟიმს ებრძოდნენ და ა.შ. შეცდომა დაუშვეს, რომ ივანიშვილის კოალიციაში იყვნენ, მაგრამ განათლებული ხალხია.

***– ისიც უნდა ვთქვათ, რომ ევროინტეგრაციის გზაზე მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ბევრი რამე გაკეთდა. მათი წამოსვლის შემდეგ კურსთან დაკავშირებით კითხვები გაჩნდა.***

– კი ბატონო, პროდასავლურ ძალად განიხილებოდნენ ალასანიას გუნდთან ერთად. შესაძლოა, აცნობიერებდნენ, რომ ივანიშვილი საქართველოსთვის მთლად კარგ თამაშს არ თამაშობდა, მაგრამ დაბალი რეიტინგის გამო კოალიციაში შესვლა სწორი იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ლევან ბერძენიშვილი დამოუკიდებელი საქართველოსთვის ციხეში იჯდა, ამიტომ მაქვს მათ მიმართ ნაკლები პრეტენზია.

# საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ მერაბ ტურავა აირჩიეს

25 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ მერაბ ტურავა აირჩიეს. მან 5 ხმა მიიღო.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე 2 კანდიდატურა იყო წარდგენილი. მერაბ ტურავასთან ერთად ამ პოსტის დასაკავებელ არჩევნებში ირინა იმერლიშვილიც მონაწილეობდა.

მერაბ ტურავამ ახალ ამპლუაში უკვე გააკეთა კომენტარი, ხაზი გაუსვა საკუთარ გამოცდილებას სასამართლო სისტემაში და ასევე თქვა, რომ მისი თავმჯდომარეობის მომდევნო წლები საზოგადოებისთვის იქნება ღია და გამჭვირვალე.

– ჩემი წარსული გამოცდილება მაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო ეფექტიანი გავხადო, კიდევ უფრო გავაფართოო სასამართლო საქმიანობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, – განაცხადა მერაბ ტურავამ.

კომენტარი გააკეთა ირინა იმერლიშვილმაც.

– შედეგი იყო მოსალოდნელი. მხოლოდ თეორიული შანსი იყო, შეცვლილიყო გადაწყვეტილება, – განაცხადა მან.

ირინა იმერლიშვილს არ აქვს ინფორმაცია, მიმდინარეობდა თუ არა რაიმე სახის ზეწოლა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე.

– ვართ ზრდასრული ადამიანები, ვართ მოსამართლეები და ჩვენს გადაწყვეტილებებზე ვართ პასუხისმგებელნი. წარმატებები სასამართლოს, რომლის ძალა იმაში გამოიხატება, რომ აქ ხშირად განსხვავებული აზრი და პოზიცია ფიქსირდება. არ გვაქვს ერთსულოვნება, ეს არის, რითაც ეს სასამართლო განსხვავდება.



მე არასდროს მოვექცევი ზეგავლენის ქვეშ, საიდანაც არ უნდა იყოს. არის განსხვავებული პოზიციები ჩემი მხრიდან არაერთხელ დაფიქსირებული. იმედი მაქვს ჩემი კოლეგებიც ასე იქცევიან.

რაც შეეხება მანანა კობახიძეს, მასთან და მის ძმასთან მაკავშირებს ურთიერთობა, ბევრი პერიოდი გამოვიარეთ ერთად. თუმცა, ეს არის მისი ინდივიდუალური გადაწყვეტილება. რაიმე ზეწოლაზე მე ინფორმაცია არ მაქვს, – განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

თავმჯდომარეს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს, ზაზა თავაძეს, უფლებამოსილების ვადა 15 ივნისს ამოეწურა.

# „ივანიშვილმა ეს ქვეყანა ლამის საკუთარ სახელზე გადაიფორმოს!“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „მთავრობა აუცილებლად იქნება კოალიციური. 30-წლიანი ბელადომანია, ერთპიროვნული მმართველობა, რომელმაც კარგი არაფერი მოგვიტანა, წარსულს უნდა ჩავაბაროთ“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, ოპოზიციაში არსებული დაპირისპირება რამდენად იქნება ხელშემშლელი კოორდინირებული მოქმედებისთვის და რამდენად ასხამს ეს ხელისუფლების წისქვილზე წყალს?***

– იმედი მაქვს, რომ ოპოზიციურ პარტიებს შორის დაპირისპირება უფრო მწვავე ფაზაში არ გადაიზრდება. ასევე იმედი მაქვს, რომ მაქსიმალური კოორდინაცია მოხდება, რაც საერთო წარმატებისთვის იქნება კარგი. ოპოზიცია უფრო კარგად გააცნობიერებს, რაოდენ მნიშვნელოვანი ამოცანა დგას ჩვენ წინაშე. რა თქმა უნდა, ყველა ოპოზიციური პარტია ცალცალკე გადის არჩევნებზე, მათ შორის ცალკე გადის „ლეიბორისტული პარტია“ და გასაგებია, რომ კონკურენცია იქნება და ჯანსაღი კონკურენცია არჩევნების წინ სრულიად გასაგები და ბუნებრივი მოცემულობაა, ამაში უცნაური არც არაფერია.

რაც შეეხება თბილისს, თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში საერთო კანდიდატების ირგვლივ მჭიდრო კოორდინაცია, იმედი მაქვს, მშვიდობიანად ჩამთავრდება. რა არის ამ ყველაფრის დატვირთვა, უმთავრესი – უფრო მარტივად მოხდეს ივანიშვილის დამარცხება. მეორე, საბოლოო ჯამში, ბევრად უფრო მრავალფეროვანი პარლამენტი მივიღოთ, რომელიც უფრო ახლოს იქნება ამომრჩეველთან, რომელიც უფრო იქნება ამომრჩევლის ინტერესების გამომხატველი. ამ შემ-



თხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ოპოზიცია იქნება თუ ხელისუფლება, მთავარია, „ქართულმა ოცნებამ“ არ აიღოს მონოპოლია პარლამენტზე. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება, რომ ერთხელ და საბოლოოდ წარსულს ჩავაბაროთ მონოპოლიები, ერთპარტიული მმართველობა. ეს ორი ამოცანა დგას დღეს ოპოზიციის წინაშე და, ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ ამ ამოცანის დაძლევას. ყველა მეტ-ნაკლებად ადეკვატურად შეაფასებს თავის შესაძლებლობებს და ზედმეტ ამბიციებსაც დაიოკებს.

***– ოპოზიციაში არსებულ დაპირისპირებაზე ირაკლი კობახიძე დღეში რამდენიმეჯერ აკეთებს განცხადებას. ეს არ აძლევს მათ ხელს?***

– ამიტომ ვამბობ, რომ ყველა გააცნობიერებს ამას და კონსტრუქციულ რეჟიმში დაბრუნდება მოლაპარაკებები. გასაგებია, სრულიად განსხვავებული პარტიებია, სრულიად განსხვავებული ლიდერები, პოლიტიკოსები არიან და ასეც უნდა იყოს, მაგრამ, როდესაც მიზანი ძალიან მნიშვნელოვანია, ეს დაპირისპირება უნდა გადავდოთ.

***– თბილისში ორ მაჟორიტარულ ოლქზე ამ ეტაპისთვის რა ხდება, თუ გაქვთ ინფორმაცია?***

– ამ ეტაპზე მოლაპარაკებები გრძელდება. საბურთალო და დიდუბე-ჩუღურეთია შესათანხმებელი და მჯერა, რომ ფართო ოპოზიციური კონსენსუსი ამ შემთხვევაშიც მიიღწევა.

***– ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ეს არჩევნები მესამე ვადით აქვს მოგებული. ისინი პროცენტულ მაჩვენებლებსაც კი ასახელებენ. უშვებთ, რომ მართლაც შეიძლება, ეს არჩევნები მოიგოს „ქართულმა ოცნებამ“?***

– „ოცნებას კაცი არ მოუკლავსო“, ნათქვამია. თუმცა, სამწუხაროდ, ეს ოცნება ამ ქვეყნის მომავალს, ამ ქვეყნის მოქალაქეების ხვალინდელ დღეს მსხვერპლად სწირავს. გარდა უტიფარი განცხადებებისა, ვერაფერს ვუწოდებ იმას, რასაც ისინი აცხადებენ, რომ მათ უმრავლესობა ეყოლებათ და მთავრობის დაკომპლექტებას დაუხმარებლად შეძლებენ. გარკვეულ პროცენტებსაც კი ასახელებენ, რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ეს ოცნებები დაღუპავს მათ. ძალიან მძიმედ დაასრულებენ.

***– რატომ, თუ მოიგეს?***

– ვერ მოიგებენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები მათ ხმას არ მისცემენ, რადგან ჩვენ გვყავს სახეზე მოძალადე, მძარცველი, კორუმპირებული ხელისუფლება, ქვეყნის ინტერესების გამყიდველი ხელისუფლება. ივანიშვილმა ლამის საკუთარ სახელზე გადაიფორმოს ეს ქვეყანა. ამიტომ, მეეჭვება, რომ 20-30% აიღოს „ქართულმა ოცნებამ“, არათუ 50-60%, როგორც გვეუბნებიან. გარდა ადმინისტრაციული რესურსისა და დაქირავებული აქტივისტებისა, სხვა რესურსი მათ, უბრალოდ, არ გააჩნიათ.

ხალხმა კარგად გაიაზრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი არჩევნები გველოდება წინ. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებზე ძალიან დიდი აქტივობა იქნება, დაახლოებით ისეთივე აქტივობა ამომრჩევლის მხრიდან, როგორიც 2012 წლის 1 ოქტომბერს იყო. საზოგადოება გააკეთებს თავის არჩევანს. მე მაინც მგონია, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩევლის აქტიურობაზე. რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა მივიდეს. ვფიქრობ, მრავალფეროვანი არჩევანი არის და ამომრჩეველი თავის არჩევანს გააკეთებს. ახალი ბელადის ძებნა წარსულს უნდა ჩავაბაროთ, პრაგმატული არჩევანი უნდა გავაკეთოთ. იდეალური და უნაკლო მხოლოდ ღმერთია. ამიტომ არსებული სპექტრიდან უკეთესის არჩევა ნამდვილად შესაძლებელია.

***– გამოდის, იმედი გაქვთ, რომ მომავალი მთავრობა კოალიციური იქნება?***

– დიახ, რა თქმა უნდა! აუცილებლად იქნება კოალიციური. 30-წლიანი ბელადომანია, ერთპიროვნული მმართველობა, რომელმაც არაფერი კარგი არ მოგვიტანა, წარსულს უნდა ჩავაბაროთ. ბიძინა ივანიშვილს თითქმის არ აქვს შანსი. ამიტომ მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი მივიდეს არჩევნებზე. „მეტი მოქალაქე არჩევნებზე!“ – ასეთი შეიძლება იყოს სლოგანი.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# ლევან ჩაჩუა: „ახალი საარჩევნო მოდელი ვერაგული ხრიკია“

## „საზოგადოებას, ნაცებისა და ქოცების გარდა, მათი ფილიალებიც არ უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**რას ემყარება განცხადებები იმის შესახებ, რომ ქვეყანაში მართლმსაჯულება არ არსებობს? რატომ იცვლებიან ხელისუფლებაში მხოლოდ ფიგურები? რატომ არის ახალი საარჩევნო მოდელი ფასადური და რა საფრთხეს შეიცავს მის საფუძველზე დაკომპლექტებული ხელისუფლება? რომელ ახალ ძალას ელის საზოგადოება? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**



***— ქვეყანაში ისევ დღის წესრიგში დგას მართლმსაჯულებისა და სამართლიანობის საკითხი. ახალგაზრდა ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის დაღუპვამ ეს თემა გაამწვავა. ხალხი ეჭვობს, რომ საქმის გამოძიება ჭიანურდება. თქვენ რას იტყვით?***

— „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის დამყარების თემა კიდევ ერთხელ დაუბრუნდა. ეს მოსალოდნელიც იყო. როცა არ ასრულებ დაპირებას სამართლიანობის აღდგენაზე, როცა დამნაშავეებს შერჩევით სჯი, როცა არ ცვლი ნაციონალური მოძრაობის სისტემას, ეს ყველაფერი ბუმერანგად გიბრუნდება. შაქარაშვილის ფაქტზე, მართლმსაჯულების არარსებობაზე ნაციონალებიც ლაპარაკობენ. ილაპარაკებენ, იმიტომ, რომ მათ უსამართლობასა და უკანონობას, რეპრესიებს ედავებოდნენ. ვინც ეს ყველაფერი ჩაიდინა, დღემდე დაუსჯელია, ზოგიერთი კი „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დააწინაურეს. ამ ხელისუფლების დროს მოხდა დათო სარალიძის მკვლელობა, ასევე ლუკა სირაძის თვითმკვლელობამდე მიყვანა. საზოგადოებას რომ ერთი ამბავი არ აეტეხა, სირაძის დამკითხველ გამომძიებელს შეკითხვასაც არავინ დაუსვამდა. ახლა სხვა ახალგაზრდის დაღუპვაზე ვსაუბრობთ. შერჩევითი სამართალი, უსამართლო გარემო ამ ხელისუფლებამ სააკაშვილის რეჟიმისგან გადმოიბარა. არ მომწონს საპროტესტო აქციები, რომლებიც სახელმწიფოს აზიანებს. ვარ ნაციონალური მოძრაობის მოწინააღმდეგე. ვიყავი ნაციონალების მიერ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული. მათ აქციებს არ ვუერთდები, მაგრამ, იმას მეც ვამბობ, რომ ქვეყანაში ისევ შერჩევითი სამართალია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება არ სჯის არც პოლიტიკურ ოპონენტებს (ვითომ ოპონენტებს) და არც გავლენიან პირებს. სისტემა უცვლელია, ხელისუფლებების ცვლილების დროს იცვლებიან მარტო ფიგურები. ამიტომ არის გაუთავებელი ლაპარაკი უსამართლობაზე.

***— ახალი საარჩევნო მოდელი არ იქნება იმის მომასწავებელი, რომ ხელისუფლებაში მარტო ფიგურები არ იცვლებოდნენ? პარლამენტი მალე მესამე მოსმენით მიიღებს ცვლილებებს, რომლითაც შემოვა პროპორციულთან მიახლოებული სისტემა 1%-იანი საარჩევნო ბარიერითა და ბლოკების დაშვებით.***

— ცვლილებები იქნება, მაგრამ — ფასადური. ახალი საარჩევნო მოდელი ვერაგული ხრიკია. თუ ახლა რამე პრობლემაზე უკმაყოფილო ხალხი პასუხს სთხოვს ბიძინა ივანიშვილს, არჩევნების შემდეგ პასუხისმგებელი არავინ იქნება. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

***— პარლამენტი და მთავრობა რატომ ვერ იქნებიან პასუხისმგებელი?***

— მრავალპარტიული პარლამენტი მოსატყუებელი ფანდია. ამ გეგმით პარლამენტი შედარებით ჭრელი გამოვა. ის დააკომპლექტებს მინისტრთა კაბინეტს. საბოლოოდ, სისტემა არ შეიცვლება. იგივე ქაობი და კრიზისი იქნება პოლიტიკურადაც, ეკონომიკურადაც და სულიერ-ზნეობრივადაც. რას შეეხება პასუხისმგებლობას, ის ჭრელ პოლიტიკურ შემადგენლობაზე (პარლამენტსა და მთავრობაზე), ასევე ამ პარტიების ამომრჩეველზე გადანაწილდება. ახლა რომ შუშის სასახლესთან აქციები და პერფორმანსები ეწყობა, ეს აღარ იქნება.

***— სხვა ძალებსაც ხომ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ამ ახალი მოდელით, 1%-იანი ბარიერით, მოხვდეთ პარლამენტში და თქვენი სიტყვა თქვათ?***

— უსამართლო არჩევნების დროს 5%-იც რომ მიიღო, თუ ამათ წრეში არ შედიხარ, გარეთ დაგტოვებენ. ნაცმოძრაობა დაიშალა მარტივ მამრავლებად. ზოგს გირჩი დაერქვა, ზოგს — ევროპული საქართველო. ყოფილი რესპუბლიკელები ლელოში შევიდნენ. „ქართული ოცნების“ გარდა, ესენი არიან ყველგან. სხვებს პოლიტიკაში არ აჭაჭანებენ, ეთერში არ უშვებენ. განსაკუთრებით ვიდევნებით კონსერვატიული შეხედულებების ძალები. თუ არაფერი გამოსწორდა, ჩამოთვლილი ოდიოზური პირები და პარტიები შეავსებენ მომავალ პარლამენტს. 2012 წელს „ქართული ოცნება“ გაიძახოდა, რომ არ შეიძლება არჩევნების ჩატარება კაციტაძის მიერ გაბერილი სიებით. ჩვენ 2020 წლის არჩევნებსაც გადაუმოწმებელი გაბერილი სიებით ვატარებთ. ბიუჯეტიდან ფინანსდებიან კვალიფიციური სუბიექტები. მათი უმრავლესობა, მაგალითად, „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა ისედაც მდიდარი და მსუყედ დაფინანსებული პარტიები არიან. არ მესმის, რად უნდათ მათ ხალხის ფულის დამატება! ცესკო ისეა დაკომპლექტებული, რომ კრიტიკას ვერ უძლებს. ხმების დათვლა ხდება ფარულად. ჩვენი ინიციატივაა ხმების დათვლა „ლაივში“ ყველა უბანზე. პარტიას, გაერთიანებას უნდა შეეძლოს ხმების დაცვა. თუ ეს გამოსწორდა, მაშინ არის შანსი სხვებისთვის. თუ მოხდება ისე, რომ კონსერვატიული, ეროვნული ძალები და პიროვნებები გავერთიანდით, ეს იქნება უდავოდ ანგარიშგასაწევი ძალა.

***— თუ ასეთი ძალა ჩამოყალიბდა, არსებული მოდელის პირობებში (120/30) შეძლებთ ხმების დაცვას?***

— კარგი იქნებოდა, არჩევნები უფრო სამართლიან გარემოში ტარდებოდეს. თუმცა, თუ ხალხისთვის სასურველი დიდი გაერთიანება შეიქმნა, ჩვენ საზოგადოებასთან ერთად შევძლებთ ჩვენი ხმების დაცვას. ახალ გაერთიანებას, რომელიც არ არის მიბმული არც ქოცებზე და არც ნაცებზე, საზოგადოება ისევ ელოდება.

***— პოლიტიკურ არენაზე არიან სხვა პარტიები, რომლებიც მესამე ცენტრს ქმნიან.***

— ხალხთან ურთიერთობა მაქვს და ვიცი, რომ ადამიანებს, ნაცებისა და ქოცების გარდა, მათი ფილიალებიც არ უნდათ. ბიძინა ივანიშვილი ხალხს ახალ-ახალ პოლიტიკურ ჯგუფებს მუდმივად აჩეჩებს. ეს მართული ხალხია. საზოგადოებას მართული ოპოზიციისა არ სჯერა. ადამიანები ელიან ნაღდი ჯანსაღი გაერთიანების გამოჩენასა და სისტემის შეცვლას, ქაობიდან გამოსვლას. პირადად მე ამისათვის ძალღონეს არ ვზოგავ. საუბედუროდ, ყველა ასე არ იქცევა. ზოგიერთი ეროვნულად განწყობილი პირი ფეისბუქში ავრცელებს ისეთ განცხადებებს, რომლებიც მთლიანად ემთხვევა „ქართული ოცნების“ ინტერესებს. იმედი მაქვს, კონსერვატორული მიმართულების პარტიები და პირები მაინც გავერთიანდებით.

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთი ტერორიზმის წყაროა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***— ბატონო ვახტანგ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საქართველოს უშიშროების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დადებითად არის მოხსენიებული. თქვენ როგორ უყურებთ ამ შეფასებას?***

— მეც დადებითად ვუყურებ. ჩვენი უსაფრთხოების სამსახურის ანტიტერორისტულმა ცენტრმა საერთაშორისო კოლეგებისაგან დადებითი და პოზიტიური შეფასებები არაერთხელ მიიღო, განსაკუთრებით — ამერიკელი კოლეგებისაგან.

როგორც ჩანს, ქართული მხარე ძალიან სერიოზულად ეკიდება ამ საკითხს — ამერიკელებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ სწორედ ამ ცენტრის მიერ იყო შემუშავებული და დამტკიცებული ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, სადაც კონცეპტუალურად არის გამოკვეთილი ყველა ის მომენტი, საქართველო როგორ უნდა ებრძოლოს და წვლილი შეიტანოს საერთოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს ანტიტერორისტულმა ცენტრმა მიიღო საერთო ტერორიზმთან ბრძოლის სპეციალური ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც, მგონი, მთავრობამ დაამტკიცა. ამ ეროვნული სტრატეგიით ხელმძღვანელობს დღეს საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრი.

***— ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტერორიზმის ფაქტები არ დაფიქსირებულა. ასევე დადებითი შეფასება გააკეთა ამერიკის ელჩმა დეგნანმა. ამაყები ვართ და მზად ვართ, საქართველოსთან თანამშრომლობა გავაგრძელოთო. ეს პოზიცია რამდენად მნიშვნელოვანია?***

— აშშ-ისა და საქართველოს თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერტერორიზმთან ბრძოლაში. 2018-19 წლები დაემთხვა დაიშის დაჯგუფების ნეიტრალიზაციას. დაიში განადგურებული არ არის, მაგრამ სირიასა და ერაყში დამარცხებულია.

***— დღეს როგორი სიტუაციაა?***

— დღეს ჯიჰადისტები კვლავ წამოყოფენ თავს. ეს საკითხი კვლავ აქტუალური რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მოვდუნდეთ. 2018 წელს დაიშის ძირითადი ბირთვი გაანადგურეს საერთაშორისო — დასავლურმა და რუსულმა კოალიციებმა. ჯერ დასავლურმა, შემდეგ კი რუსულმა კოალიციამ გაანადგურეს დაიშის ძალები, მაგრამ დღეს ტერორიზმის საფრთხე კვლავ გაზრდილია.

***— რატომ არის გაზრდილი საფრთხე?***

— ახლა დაემატა ბიოტერორიზმი. ბიოლოგიური ტერორიზმის თემა საკმაოდ აქტიურია.

***— ეს პროცესი კორონამ არ შეაჩერა?***



— კორონამ კი შეაჩერა, მაგრამ, შეიძლება, ახლა ტერორისტებმა ბიოლოგიური აგენტების ხელში ჩაგდება დაიწყონ და ბრძოლის საშუალებად ბიოტერორიზმი გამოიყენონ. ამით კი ბიოტერორიზმის ახალი ტალღა გამოიწვიონ. ამიტომ დღეს რეალური საფრთხე ეს არის.

***— ანუ შეიძლება, ბიოლოგიური იარაღი გამოიყენონ?***

— შეიძლება, ტერორისტებმა ხელში ჩაიგდონ შტამები, იგივე კოვიდ-19-ისა და სხვა დაავადებული ცხოველების ბიოლოგიური აგენტები გაავრცელონ. ბევრი რამ არსებობს, ტექნოლოგიებზე არ ვისაუბრებ, ეს ახლა მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ბიოტერორიზმის საკითხი რეალურ თემად იქცა. ამიტომ სპეცსამსახურებს, ალბათ, მოუწევთ სპეციალური ტიპის თანამშრომლობა, რომ ბიოტერორიზმი თავიდან ავიცილოთ.

***— რუსეთი, ერთი მხრივ, თითქოს ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის, მეორე მხრივ, თვითონ არის ტერორიზმის წყარო.***

— დიახ, რა თქმა უნდა, ამის დასტურია გერმანიის ტერიტორიაზე ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა, რომელიც გერმანიის პროკურატურის მიერ ტერორისტულ აქტად შეფასდა. ამ ტერაქტის მოწყობაში რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები არიან დადანაშაულებული. ეს ფაქტია.

***— ხანგოშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეიძლება ამის გამო რუსეთთან ჩრდილოეთ ნაკადის გაზსადენის მშენებლობა შეაჩეროს.***

— არ ვიცი, გერმანიის მთავრობა რას იზამს. მთავარია, რომ გერმანიის პროკურატურამ საქმე გამოიძია, კონკრეტულ პირს კონკრეტული ბრალდება წაუყენა, ხანგოშვილის მკვლელობის საქმეში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობა გამოავლინა. ახლა ჯერი გერმანიის მთავრობაზეა. რა ტიპის სანქციებს გამოიყენებს, ეს ფედერალური მთავრობის პრეროგატივაა.



***— გერმანიის პროკურატურამ განაცხადა, რომ მოკლულ ხანგოშვილს პრობლემა ჰქონდა საქართველოს „პრორუსულ ხელისუფლებასთან“. შემდეგ ამ განცხადებას საქართველოში გერმანიის ელჩის განმარტება მოჰყვა, ამის თაობაზე ხანგოშვილმა განაცხადაო.***

— ეს დაფიქსირებულია გერმანიის პროკურატურის განცხადებაში. ორიგინალში გავეცანი გერმანულ ტექსტს. ტექსტში წერია, რომ ეს ხანგოშვილმა განაცხადა. ხანგოშვილი აცხადებდა, რომ პრორუსულ მთავრობას გამოექცა, პირდაპირ ასე გერმანიის პროკურატურა არ დაუფიქსირებია. როგორც ჩანს, გერმანიის პროკურატურა დაეყრდნო ხანგოშვილის განცხადებებს, რომელიც მან გააკეთა მაშინ, როდესაც გერმანიაში აღმოჩნდა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.

***— საინტერესოა, ხანგოშვილს რეალურად ჰქონდა პრობლემა საქართველოს ხელისუფლებასთან თუ, უბრალოდ, გერმანიაში თავშესაფარი რომ მიეცათ, ამიტომ განაცხადა?***

— საქართველოში ხანგოშვილზე რამდენიმე წარუმატებელი თავდასხმა განხორციელდა მისი ლიკვიდაციის მიზნით. მასზე თავდასხმის ფაქტები 2014-15 წლებში დაფიქსირდა. თავდასხმა წარუმატებელი აღმოჩნდა და ხანგოშვილი გერმანიაში წავიდა იმ მიზნით, რომ კარგად იქნებოდა დაცული. როგორც ჩანს, ხანგოშვილმა გერმანიაში ეს პოზიცია დააფიქსირა. რადგან საქართველოში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა და, შესაბამისად, მასზე თავდასხმები განხორციელდა, ის წავიდა გერმანიაში და იქ გააკეთა განცხადება.

***— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხანგოშვილი საქართველოში განხორციელებულ თავდასხმებს რუსეთს უკავშირებდა, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას, თავდასხმების გამო, მასთან „კავშირში მყოფად“ მიიჩნევდა? რატომ უნდა სდომებოდა საქართველოს ხელისუფლებას მისი მოკვლა?***

— გერმანია არ არის მაინცდამაინც რუსეთის მოყვარული ქვეყანა. გერმანია საერთაშორისო პოლიტიკაშია ჩართული, დასავლეთის კოალიციის წევრია, მაგრამ ამ ყველაზე დაცულ ტერიტორიაზეც კი რუსებმა ხანგოშვილზე თავდასხმა განახორციელეს და მოკლეს.

რა გასაკვირია, რუსეთს საქართველოშიც რომ განეხორციელებინა ხანგოშვილზე თავდასხმა. პირიქით, რუსებს საქართველოში ხელი შეეშალათ. მათ საქართველოში თავდასხმა წარმატებით ვერ განახორციელეს, განსხვავებით გერმანიისაგან.

***— გერმანიის ხელისუფლებას თავის დროზე დასავლელი პარტნიორები მოუწოდებდნენ, ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის გაზსადენის მშენებლობაზე პუტინს არ დასთანხმებოდა, მაგრამ გერმანიამ მაინც დაიწყო გაზსადენის მშენებლობა.***

— გაზსადენის მშენებლობა დაწყებულია და, მგონი, უახლოეს ხანში დასრულდება.

***— ახლა ამ გაზსადენის მშენებლობის შეჩერება რამდენად წარმოსადგენია? თუ, უბრალოდ, პოლიტიკური განცხადება იყო?***

— ეს საკითხი ენერგოუსაფრთხოებას ეხება. როგორც ჩანს, გერმანელებისთვის ენერგოუსაფრთხოება გაცილებით მნიშვნელოვანია. ენერგოუსაფრთხოება ეროვნულ უსაფრთხოებაზე ნაკლებად აქტუალური არ არის. როგორც ვიცი, გერმანიის მთავრობა დაინტერესებულია ჩრდილოეთ ნაკადი-2-ის პროექტის განხორციელებით. გერმანულ მხარეს ეს არაერთხელ უთქვამს.

თუმცა, როდესაც შენს ტერიტორიაზე ქვეყნის სუვერენიტეტს ბღალავენ, რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით კლავენ მოქალაქეს, ეს სერიოზული შეურაცხყოფა და სერიოზული სუვერენიტეტის შელახვაა.

***— ხანგოშვილს გერმანიის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული?***

— ხანგოშვილს გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი ჰქონდა მიღებული, მაგრამ საქართველოს მოქალაქე იყო. გერმანელებმა მკვლელი გამოავლინეს, ბრალი წაუყენეს, დანარჩენი სასამართლოზე გადაწყდება. პროკურატურამ ბრალი წაუყენა, გამოხატა თავისი პოზიცია, დანაშაულის მომზადებაში რუსეთის სპეცსამსახურები დაადანაშაულა და საქმე სასამართლოს გადასცა.

# „მორაგბეები რომ მივიდნენ, გიორგი შაქარაშვილი იქ აღარ იყო“

## „გიგა ტატიაშვილი იუბილარის კლასელია... ნახალოვკელებს საბურთალოელები მისდევდნენ“

გრძელდება ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები.

გამოკითხული მორაგბეების ადვოკატის, ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, როდესაც მისი დაცვის ქვეშ მყოფები საქმეში ჩნდებიან, გიორგი შაქარაშვილი უკვე იქ აღარ იმყოფებოდა და ვერსია, რომ ბოლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფებმა ნახეს შაქარაშვილი, რეალობას არ შეესაბამება.

– ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების მდგომარეობა ძალიან სტრესულია იქიდან გამომდინარე, რომ მათი ოჯახის წევრები ფსიქოლოგიურ ძეწოლას განიცდიან, თან იმ პირობებში, როდესაც მათი ბრალეულობა ნულის ტოლია.

მოგეხსენებათ, გუშინ ერთ-ერთი მოწმე გამოვიდა და იმ გარემოებებზე ისაუბრა, რაც მან საკუთარი თვალით დაინახა. კონკრეტულად მან თქვა, რომ მანქანა როდესაც გაჩერდა, ამასობაში ორი ადამიანი გაიქცა, სულ ექვსნი იყვნენ, ხოლო ის ორი ადამიანი, რომელიც გაიქცა, თვითონ და გიორგი შაქარაშვილი იყო.

ლოგიკას რომ გავყვეთ, ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფები, როდესაც აღნიშნულ საქმეში ჩნდებიან და ტოიოტა ქამრის ავტომანქანით გადაადგილდებიან, უკვე გიორგი იქ არ იმყოფება, ე.ი. ვერსია, რომ ბოლოს ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფებმა ნახეს შაქარაშვილი, რეალობას არ შეესაბამება.

ფაქტია, რომ აღნიშნულმა პირმა დაადასტურა ის ინფორმაცია, რომ ბოლო მანქანის მისვლამდე გიორგი იქ არ იყო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ იმ ბიჭების ნამდვილად არანაირი ბრალეულობა არ იყო, რომლებიც ტოიოტა ქამრიში ისხდნენ. ახლა უკვე ჩემთვისაც ნათელია, ამდენი ხნის განმავლობაში საგამოძიებო ორგანომ რეაგირება რატომ არ მოახდინა, იმიტომ, რომ მათი ბრალეულობა ნულის ტოლია, – განაცხადა ალექსანდრე კობაიძემ.

რაც შეეხება კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზანი ამოძრავებდათ მის დაცვის ქვეშ მყოფებს და რატომ ჩავიდნენ ისინი ადგილზე, კობაიძე პასუხობს, რომ მათი მიზანი ინტელექტუალური დახმარება იყო.

გარდა ამისა, კობაიძე ასევე აცხადებს, რომ რკინის ხელკეტი მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მანქანიდან, ტოიოტა ქამრიდან, არ არის ამოღებული და ის მერსედესის მარკის ავტომობილიდან ამოიღეს.

– მერსედესში ვინც ისხდნენ, ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფებს დაურეკეს და უთხრეს, რომ მისიანებს ეძებდნენ და სწორედაც ეძებდნენ იმიტომ, რომ კონფლიქტი აერიდებინათ. როგორც ირკვევა, რკინის ხელკეტი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების მანქანიდან არ არის ამოღებული, მე რა ინფორმაციაც მაქვს, მერსედესის ტიპის ავტომანქანიდან ამოიღეს.

ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების მანქანაში ექვსი პირი იჯდა. მათი სულისკვეთება დახმარება და საქმის „მოგვარება“ იყო, არა ფიზიკურად დახმარება, არამედ – ინტელექტუალურად და ინტელექტუალური დახმარება თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ, როდესაც გუკა მანქანაში ჩაისვეს, ფაქტია, რომ მას კარგად ექცევიან, ამშვიდებენ და აწყნარებენ. გუკა ამირხანაშვილიც საუბრობს, რომ მას და ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების მანქანაში მსხდომ ადამიანებს შორის კონფლიქტი არ ყოფილა და დაზიანებები საიდან მიიღო მან, ეს უკვე ცალკე საკითხია.

კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების ამ კონფლიქტში ჩართულობა ნულის ტოლია, მისვლა დავიგვიანეთ და ამ დაგვიანებამ განაპირობა ის, რომ კონფლიქტიც მომხდარი და დიდი ალბათობით, ეს ფატალური შემთხვევაც უკვე მომხდარი იყო, – აღნიშნა კობაიძემ მედიაცენტრ „მთავარში“.

❖ ❖ ❖

ფეხბურთელის საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი ვახო ახვლედიანია. „კურიერი“ სანდო წყაროზე დაყრდნობით ამბობს, რომ ის აგარაკის ინციდენტში მონაწილეობდა, შემდეგ კი ტერიტორია დატოვა და ცენტრალურ მაგისტრალზე გადავიდა.

მისი ადვოკატის მტკიცებით, თბილისისკენ მიმავალ გზაზე გიორგი შაქარაშვილსა და გურამ ამირხანაშვილს შეხვდა, მათთან ერთად იმყოფებოდა საქმის კიდევ ერთი ახალი ფიგურანტი ფოტოგრაფიც, რომელიც წვეულებისთვის იუბილარმა დაიქირავა. ადვოკატი ამტკიცებს, რომ ვახო ახვლედიანს ცხვირი გატეხილი აქვს და ნაცემია.

მზია ქასრაშვილის მტკიცებით, საბედისწერო ღამეს მათ წინ ორი ავტომობილი გაჩერდა. შავი ფერის ტოიოტა და ვერცხლისფერი მერსედესი. ადვოკატის თქმით, მერსედესის მარკის ავტომობილიდან ორი პირი გადმოვიდა და ახვლედიანს რკინის ხელკეტით გაუსწორდნენ.

ვახო ახვლედიანს ექსპერტიზა ჩაუტარდა, სამხარაულის საექსპერტო ბიუროში მერსედესის მარკის ავტომობილის სამივე მგზავრიც იმყოფებოდა.

მათი ადვოკატი მთელი კვირაა ამტკიცებს, რომ ისინი უბრალო გამვლელები იყვნენ და ჭკვიანმა კამერებმა დროის იმ მონაკვეთში დააფიქსირეს, როდესაც ინციდენტი მოხდა, მერე კი აღიარა, რომ მერსედესისა და ტოიოტას ავტომობილები ერთად გადაადგილდებოდნენ და შემთხვევის წერტილთან ახლოს გაჩერებულები იყვნენ, თუმცა დაპირისპირებაში მონაწილეობა სასტიკად უარყო. ადვოკატი არ ადასტურებს რომ კანონსაწინააღმდეგო ნივთი, რკინის ხელკეტი მათი ავტომობილიდან ამოიღეს. მისივე განცხადებით, ორივე მანქანა მტკიცებულების სახით ამოღებულია, ერთ-ერთზე კი დნმ-ის დასადგენად ანაბეჭდებია აღებული.

ექსპერტიზა ჩაუტარდა ორ მორაგბეს, რომლებიც ტოიოტას მარკის ავტომობილით 18 ივნისის ღამეს გადაადგილდებოდნენ. ოქროს მოწმეზე დაყრდნობით, გიორგი შაქარაშვილის ოჯახი ამბობს, რომ სწორედ მათ წამოიყვანეს გურამ ამირხანაშვილი მცხეთიდან თბილისში. მედიასთან მორაგბეებმა არ დააკონკრეტეს, როდის და რატომ მოხდა ავტომობილის დაზიანება.

ექსპერტიზა ჩაუტარდა საქმის ოქროს მოწმე გურამ ამირხანაშვილს, რომელიც საექსპერტო ბიუროში ოჯახის წევრებთან ერთად მივიდა.

ექსპერტიზაზე საქმის სხვა ფიგურანტებიც იყვნენ, რომელთა ნაწილი გიორგი შაქარაშვილს წვეულებაზე პირველად შეხვდა. ახალგაზრდების ნაწილს მძიმე დაზიანებები ჰქონდა, ნაწილს კი არაფერი აღენიშნებოდა. სავარაუდოა, რომ მათი შემოწმება გამოძიებამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც მათმა უმრავლესობამ სრული ინფორმაციის მიწოდებისგან თავი შეიკავა.

❖ ❖ ❖

25 ივნისს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტში მოწმე თენგო ბარბაქაძე დაიკითხა, რომელიც ნარეკვავის აგარაკზე წვეულებაზე იმყოფებოდა.

მისმა მამამ, ხვიჩა ბარბაქაძემ, მედიასთან ისაუბრა.

მისი თქმით, ევროპის ჩემპიონი ძიუდოში გიგა ტატიაშვილი, რომელიც საქმეში ფიგურირებს, იუბილარის კლასელია. ხვიჩა ბარბაქაძის განცხადებით, ჩხუბს ტატიაშვილი და მისი შვილი გამოერიდნენ და თბილისში სავარაუდოდ, ტატიაშვილის კუთვნილი მერსედესის მარკის ავტომობილით დაბრუნდნენ, რომელიც პოლიციასთან დალუქულ მდგომარეობაშია, ცოტა ხანში კი კვლავ უკან დაბრუნდნენ მეგობრების წამოსაყვანად.

– ჩემი შვილი აგარაკზე დაბადების დღეზე თავიდანვე იყო. ის გიორგი შაქარაშვილს არ იცნობდა, ვისი დაბადების დღეც იყო, მისი მეგობარია. დაზიანებები აქვს, ჩხუბში ვინ მიაყენა დაზიანებები, არ ვიცი, სერიოზული დაზიანებები არ აქვს. თავიდან გაიქცნენ, ჩხუბს თავი გაარიდეს, სახლში წავიდა.

შაქარაშვილზე ამბობს, ერთ-ერთი კარგი ბიჭი იყოო და იმ ბიჭს კონფლიქტი არავისთან



ხვიჩა ბარბაქაძე

ჰქონიაო, დაბადების დღეზე გაიცნო ისიც. არავინ იცის, რა მოხდა, აივანზე ვიდექი ცალკე, რომ გამოვედი, ვიღაცამ ხელი მომკიდა და კედელზე მიმახეთქაო – ასე ამბობს ჩემი შვილი. ის მერსედესის მარკის ავტომობილში იჯდა. თბილისიდან ბიჭების დასახმარებლად ისევ წამოვიდა, თავის მეგობრებს რომ სცემდნენ, ხომ არ მიატოვებდა? ნახალოვკიდან ჩავიდნენ და თავიანთი ძმაკაცები წამოიყვანეს. იმ მანქანაში მყოფები დაბადების დღეზე ერთად იყვნენ.

როგორც ვიცი, ჩხუბის დროს ესენი გაიქცნენ და ეს იყო დაწყნარება, ნახალოვკელებს საბურთალოს მხარე მოსდევდა.

ტატიაშვილი დაბადების დღეზე იყო, ის ჩემ შვილთან ერთად თბილისში ვერცხლისფერი მერსედესით დაბრუნდა, ჩხუბს გამოერიდნენ, დაზიანება ვისაც ჰქონდა, ის წაიყვანეს საავადმყოფოში, თუ სასწრაფო გამოიძახეს, არ ვიცი. მერე ისევ უკან დაბრუნდნენ, მეგობრების წამოსაყვანად. იქიდან 2 ადამიანი წამოიყვანეს, – განაცხადა ხვიჩა ბარბაქაძემ.

24 ივნისს ღამით ჩხრეკა ჩატარდა მერსედესის მარკის ავტომობილის მგზავრების 3 საცხოვრებელ სახლში.

ადვოკატი მუხრან ღურწკაია აცხადებს, რომ ჩხრეკა არასამუშაო საათებში ჩატარდა, რაც კანონდარღვევაა, რადგან ის გარდაუვალი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

– გუშინ გაჩხრიკეს ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების სახლი. ჩხრეკის შედეგად წაიღეს ლეპტოპები. ღამის 3-ის ნახევარზე დაიწყეს ჩხრეკა, ეს არის უკანონობა, ვინაიდან ღამის საათებში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება არის დაუშვებელი, თუ არ არის გადაუდებელი აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, არ იყო გადაუდებელი აუცილებლობა, ვინაიდან ეს ადამიანები 4-5 დღის უკან დაიკითხნენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარკვეული სახის პირდაპირი ან ირიბი ზეწოლა ხორციელდება მათზე, რომ კიდევ რაიმე სახის ინფორმაცია მიაწოდონ გამოძიებას, – განაცხადა ადვოკატმა ღურწკაიამ.

# ელმირა წულაიამ ყოფილი ქმრისგან ფულის მისაღებად დახმარება ქურდებს სთხოვა

ყოფილ მეუღლეებს შორის არსებული ფინანსური დავა ჯერ ქურდულ სამყარომდე, შემდეგ კი მართლმსაჯულებამდე მივიდა. ყოფილ ცოლ-ქმარ წულაიებს შორის 9 ათას ევროზე დაწყებულ კონფლიქტში დანაშაულის ნიშნები მაშინ გამოიკვეთა, როცა ორივე მხარემ დავის მათთვის სასარგებლოდ გადასაწყვეტად საქმეში კრიმინალური ავტორიტეტის მქონე პირები ჩართო.

რუსთავი 2-ის ცნობით, ყველაფერი მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო, როცა ელმირა წულაიამ ახლობელ მირზა მირზიაშვილს მიმართა და ყოფილი მეუღლისგან ვალის დაბრუნებაში დახმარება სთხოვა. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად მირზიაშვილმა საქმეში ჩართო თურქეთში მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდი ჯეირან კინწურაშვილი, მეტსახელად „ჯეირან ხონსკი“.

უკანონო გარჩევები ბათუმში შედგა, რა გზითაც ელმირა წულაიას მეუღლეს ქურდული სამყაროს წევრებმა თანხის გადახდა დააკისრეს. ბრალის დადგენილების თანახმად, თუ ის გადაწყვეტილება არ დაემორჩილებოდა, მას დაემუქრნენ.

ამ გარჩევის შემდეგ საქმის ერთი ეპიზოდი დასრულდა, მაგრამ გახდა კიდევ ერთი დანაშაულის მიზეზი. ელმირა წულაიას მეუღლე ვასილ წულაია, რომელიც ე.წ. ქურდულმა სამართალმა გაამტყუნა, ამავე საქმეში ითხოვს ჩაერთოს კიდევ ერთი „კანონიერი ქურდი“ ავთანდილ სიხარულიძე. ამისთვის ელმირა წულაიას ყოფილი მეუღლე თურქეთშიც გაემგზავრა, სადავო საკითხზე საქმის კურსში ჩააყენა კრიმინალური ავტორიტეტის მქონე პირი და დაინიშნა კიდევ ერთი უკანონო გარჩევა.

აქ დავა უკვე ყოფილი ქმრის სასარგებლოდ დასრულდა.

დაკავებულ ვასილ წულაიას ოჯახის წევრები არ საუბრობენ იმ საქმეზე, რომელიც საფუძველი გახდა, რომ 10 ადამიანის წინააღმდეგ



სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულიყო. ბრალდებული, რომელმაც ყოფილ ცოლთან საქმის გასარკვევად კრიმინალურ სამყაროს მიმართა, დღეს დუმილის უფლებას იყენებს.

თბილისსა და ბათუმში ჩატარებულ დაკავების ოპერაციებს წინ უძღოდა რამდენიმეთვიანი საგამოძიებო პროცესი. მათ შორის ისმენდნენ სატელეფონო საუბრებს, რომლის ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაასაჯაროვა.

ამ აუდიომასალაში ფიგურირებენ დაპირისპირებული მხარეები. მათ შორის, ასახულია, როგორ გეგმავს ელმირა წულაიას მხარე თურქეთში გამგზავრებას მას შემდეგ, რაც მეორედ შემდგარ გარჩევაზე დავა ყოფილი ქმრის სასიკეთოდ გადაწყდა. საუბრებში ფიგურირებს თავად მირზა მირზიაშვილი, რომელიც პირადად ესაუბრება კრიმინალურ ავტორიტეტს კოტო აბაშიძეს. აბაშიძე, თავის მხრივ, ცნობილი კანონიერი ქურდის ლავასოღლის გარემოცვის წევრია.

ცოლ-ქმრის კონფლიქტის გარჩევის საქმეზე დაკავებულია 7 პირი, 3-ს კი ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს.

უკანონო ორი გარჩევის შედეგად, ქურდული სამართლის მიხედვით, მოგებული დარჩა ორივე მხარე. თუმცა წინ მთავარი სასამართლო პროცესებია, რომელიც განსაზღვრავს, ვის და რამდენი წლით გაუშვებს პატიმრობაში.

ფინანსური დავა კი მეუღლეებს შორის ისევ მოსაგვარებელია.

# პროკურატურამ ადვოკატი გ.ჩ. ქრთამის მიცემისთვის დააკავა

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ ქრთამის მიცემის ფაქტზე დაკავებულია ადვოკატი გ.ჩ.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ადვოკატმა გ.ჩ.-მ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროს ინსპექტორ-გამომძიებელ ა.ლ.-სთან ერთად შუამავალს შესთავაზა ერთ-ერთი თანამდებობის პირისათვის ქრთამის სახით 100.000 ლარის გადაცემა, რის სანაცვლოდაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან უნდა გათავისუფლებულიყო.

„აღნიშნულის თაობაზე შუამავალმა დაუყოვნებლივ მომართა საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას, სადაც დაიწყო გამოძიება, დაიგეგმა და ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები და მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ ქრთამის მიცემის ფაქტზე დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენაში მხილებული ზემოხსენებული ადვოკატი.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ასევე ქრთამის მიცემის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის ა.ლ.-ს მიმართ



და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

ადვოკატ გ.ჩ.-ს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით. პროკურატურამ, მიმართა სასამართლოს ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# „მანქანას ბავშვის დედა მართავდა“

## ტიბაანში ავარიას 3 წლის გოგონა შეეწირა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში ავარიის დროს 3 წლის ბავშვი დაიღუპა. ადგილობრივების ინფორმაციით, მსუბუქი ავტომანქანა ჯერ ელექტროგანათების ბოძს დაეჯახა, შემდეგ კი – მცირეწლოვანს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით მიმდინარეობს.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი მცირეწლოვანი, 3 წლის ელენე რატიანია.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბმვ-ს მარკის ავტომანქანას მცირეწლოვნის დედა მართავდა.

ოჯახის ახლობლების ინფორმაციით, ავტომანქანაში, რატიანების ოჯახთან ერთად, სხვა პირებიც იმყოფებოდნენ.

– ოჯახი სოფელ ხირსიდანაა, რამდენიმე წელია, წნორში ცხოვრობენ. ბავშვის დედა ლიბერთი ბანკის თანამშრომელია. სოფელში პაპის სანახავად იმყოფებოდნენ. ეს ამბავი იქიდან წამოსულებს დაემართათ. მანქანა ამოტრიალებული იყო.

იმ მხარეში ტრანსპორტი ცოტაა, ვიღაც ქალბატონმა გაიარა და ის დაეხმარა. საავადმყოფოში რომ მიიყვანეს, ბავშვი უკვე გარდაცვლილი იყო, – თქვა ერთ-ერთმა ახლობელმა.

# საბერძნეთში ქართველმა ქალმა ცეცხლი წაიკიდა და მე-5 სართულიდან გადახტა

საბერძნეთში, ქალაქ თესალონიკში, ახალგაზრდა ქართველმა ქალმა თავი მოიკლა.

პირველ ეტაპზე ადგილობრივმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ ქართველი ემიგრანტი, სავარაუდოდ, აფეთქების ტალღამ მეხუთე სართულიდან გადმოაგდო, ვინაიდან ცხედარი ნაწილობრივ დამწვარი იყო.

გარდაცვლილი ქალის მეგობარი კი „პრაიმტაიმს“ უყვება, რომ რეალურად აფეთქება არ მომხდარა. მისი თქმით, 36 წლის ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

– ცეცხლი წაიკიდა და მეხუთე სართულიდან გადმოხტა. ბოლო პერიოდში მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა ჰქონდა. თვითმკვლელობა ადრეც ცადა, თუმცა მაშინ გადავარჩინეთ. სამწუხაროდ, ახლა ეს ვერ შევძელით, – ყვება გარდაცვლილის მეგობარი.

36 წლის ქართველის გარდაცვალების შესახებ ინფორმირებულია საბერძნეთში საქართველოს საკონსულოც.

– სალონიკში საქართველოს საკონსულომ მიიღო ოფიციალური შეტყობინება აღნიშნული ფაქტის შესახებ.



ისინი მუდმივ კონტაქტზე არიან როგორც ადგილობრივ სამართალდამცავებთან, ასევე – ოჯახის წევრებთან. მიმდინარეობს მოკვლევა, – განაცხადეს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

2020, 26 ივნისი, №137

# აშშ უკრაინას აიარაღებს

24 ივნისს, როცა მოსკოვში ნაციზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავი აღნიშნეს, უკრაინაში ამერიკული იარაღის პარტია ჩავიდა. ესაა ჯაველინები, აგრეთვე საბრძოლო კატერები, რომლებიც უკრაინის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ჰაერივით სჭირდება.



უკრაინელი სამხედრო ექსპერტის ოლეგ ჟდანკოვის აზრით, ამერიკული იარაღის უკრაინისთვის გადაცემა უმნიშვნელოვანესი ფაქტია. ის ნათლად გვიჩვენებს, რომ აშშ უკრაინას ყურადღებას აქცევს და ამ ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებულ აგრესიას დასავლეთის მწვავე რეაქცია მოჰყვება.

უკრაინისთვის ჯაველინების მიწოდებას კრემლის მწვავე რეაქცია მოჰყვა. პუტინის გულისნადები, ტრადიციულად, ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– რადგან აშშ უკრაინას იარაღს აწვდის, ჩვენც ვენესუელა, კუბა ან მექსიკა უნდა შევაიარაღოთ! რადგან უკრაინა ნატოსკენ მიისწრაფვის, რატომ არ შეიძლება, რომ დსთ-ის კოლექტიურ თავდაცვის სისტემაში გაწევრიანდნენ კუბა, ნიკარაგუა, ვენესუელა ან მექსიკა?!

# ისრაელმა უცხოელებისთვის ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 1 აგვისტომდე გაახანგრძლივა



ისრაელმა, კორონავირუსის გამო, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ქვეყანაში შესვლაზე დაწესებული შეზღუდვა პირველ აგვისტომდე გაახანგრძლივა.

„მგზავრები, რომლებიც ისრაელის მოქალაქეები არ არიან, ქვეყანაში არ დაიშვებიან“, – აღნიშნულია წერილში, რომელიც ავიაკომპანიებმა მიიღეს.

შეზღუდვა შეეხებათ სატრანზიტო რეისების მგზავრებსაც.

კორონავირუსის ეპიდემიის გამო ისრაელმა უცხო ქვეყნების მოქალაქეების ქვეყანაში შესვლაზე აკრძალვა მარტში დააწესა.

ბოლო მონაცემებით, ისრაელში კორონავირუსის 22.139 შემთხვევაა დადასტურებული, გარდაცვლილია 308 ადამიანი.

# მადურო: „მზად ვარ, ჩემს გადადგომაზე რეფერენდუმი ჩატარდეს“



ვენესუელის დე ფაქტო პრეზიდენტი ნიკოლას მადურო აცხადებს, რომ მზად არის, თანამდებობიდან გადადგომის საკითხზე რეფერენდუმი 2022 წელს გამართოს.

მადუროს თქმით, ის რეფერენდუმზე იმ შემთხვევაში იქნება თანახმა, თუ ამ ინიციატივის მომხრეები საკმარისი რაოდენობის ხელმოწერებს მოაგროვებენ.

– 2022 წლის 10 იანვარს შესაძლებელი იქნება ხელმოწერების შეგროვების დაწყება, რათა ჩემი გადადგომის საკითხზე რეფერენდუმი გაიმართოს, – განაცხადა მადურომ, რომელმაც პრეზიდენტის პოსტი 2019 წლის 10 იანვარს დაიკავა, მისი უფლებამოსილების ვადა კი 2025 წლის 10 იანვარს იწურება.

ვენესუელის კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობაზე ყოფნისას ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ რეფერენდუმის გამართვა დასაშვები ხდება. 2019 წლის იანვარში ვენესუელაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ოპოზიციის ლიდერმა ხუან გუაიდომ ნიკოლას მადუროს ბრალად არჩევნების გაყალბება დასდო და თავი დროებით პრეზიდენტად გამოაცხადა. მას ლეგიტიმურ პრეზიდენტად მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყანა აღიარებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მოზარდმა 380-კილოგრამიანი ზვიგენი დაიჭირა



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ უეტერფორდის მკვიდრმა მოზარდმა დამოუკიდებლად დაიჭირა 382-კილოგრამიანი ვეფხვისებური ზვიგენი, როდესაც ქალაქ პორტ-არანზასის მახლობლად თევზაობდა.

მიკა ჰარლესი მამასთან ერთად იმყოფებოდა სათევზაოდ და 36 საათი ცურვის დროს უზარმაზარი ზვიგენი დაიჭირა. თევზაობის ორგანიზატორებმა მოზარდის ნადავლი სპეციალური მოწყობილობით ასწიეს ასაწონად. აღმოჩნდა, რომ სახიფათო მტაცებელის წონა 382 კილოგრამს, ხოლო სიგრძე 3,6 მეტრს შეადგენდა.

მოზარდის თქმით, ის და მამამისი აპირებენ, რომ თევზის ხორცის მცირე ნაწილი დაიტოვონ, ხოლო დანარჩენს დაარიგებენ.

# მძარცველებმა ატირებული კურიერის გაძარცვა გადაიფიქრეს

პაკისტანის სინდის პროვინციის ქალაქ ყარაჩიში მძარცველებმა კურიერის გაძარცვა გადაიფიქრეს და მის დამშვიდებას შეეცადნენ, როდესაც ის ატირდა.

აღნიშნული ინციდენტი სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ გამოდის შენობიდან ქვეყანაში პოპულარული კერძების ადგილზე მიტანის სამსახურის კურიერი, მას შემდეგ, რაც შეკვეთა ადგილზე მიიტანა და შესასვლელთან გაჩერებულ სკუტერთან მიდის, მასთან ასევე სკუტერით ორი მძარცველი მიდის, ერთ-ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოდის და კურიერის დაშინებას იწყებს. მისი თანამზრახველი კი სკუტერზე მჯდომი ადევნებს თვალს ამ ყოველივეს.

კურიერი, რომელმაც მთელი დღის გასამრჯელო დაკარგა, ატირდა. ამის დანახვაზე, მძარცველებმა საკუთარი გეგმები შეცვალეს. იმის ნაცვლად, რომ წართმეული თანხით დანაშაულის ადგილს გასცლოდნენ, მათ კურიერს წართმეული თანხა დაუბრუნეს, ხელი გადახვიეს და დამშვიდება დაუწყეს. ამის შემდეგ ისინი მიიმალნენ. სამართალდამცავები ახლა იმას არკვევენ, თუ პოლიციის რომელი განყოფილების იურისდიქციაშია მომხდარი შემთხვევა.



# სასმელის გარეშე დარჩენილმა ალკოჰოლიკმა მაიმუნმა ადამიანი მოკლა

ინდოეთში ალკოჰოლიკმა მაიმუნმა ერთი ადამიანი მოკლა, 250 ადამიანი კი დააშავა. ცხოველის აგრესიულობა იმით აიხსნება, რომ მას სპირტიანი სასმელები შემოაკლდა.

მაიმუნი, სახელად კალუა, ადრე თვალის ექიმის საყვარელი შინაური ცხოველი იყო და სწორედ ის აძლევდა მას მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი პატრონი მოკვდა, სასმელის გარეშე დარჩენილმა კალუამ ქალაქის ქუჩებში წანწალი და ადამიანებზე თავდასხმა დაიწყო. მაიმუნის აგრესიულობის მსხვერპლი გახდნენ ქალები და გოგონები: ათეულობით ბავშვს პლასტიკური ქირურგის მომსახურება სჭირდება იმის გამო, რომ მაიმუნმა მათ თავისი ეშვებით სახე დაუზიანა. ერთი ადამიანი კი პრიმატის თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა.



საბოლოოდ ექვსი წლის მაიმუნი დაიჭირეს და კანპურის ზოოპარკში გადაიყვანეს. იქ ზოოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ალკოჰოლიზმით დაავადების გარდა, მაიმუნს სხვა ჩვევებიც განუვითარდა, რომელიც მისი სახეობისთვის სრულიად შეუთავსებელია. მაგალითად, კალუა ბოსტნეულზე უარს ამბობს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მაიმუნის ასეთი აგრესიულობის ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ყოფილი პატრონი მას ხორცით კვებავდა.

# მამაკაცს უცნობის სატელეფონო ზარი ხუმრობა ეგონა და კინაღამ მოგების გარეშე დარჩა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მკვიდრმა არ დაიჯერა, როდესაც მას ლატარიის გათამაშების წარმომადგენელმა დაურეკა იმისთვის, რომ მსხვილი მოგების თაობაზე ეცნობებინა და ტელეფონი გაუთიშა.




ორმა ნათესავმა ლატარიის ბილეთი ონლაინ ერთობლივად შეიძინა. გათამაშების შემდეგ ერთ-ერთ მათგანს ლატარიის წარმომადგენელმა დაურეკა, რათა მისთვის ეცნობებინა, რომ გათამაშების გამარჯვებული გახდა. ავსტრალიელმა ჩათვალა, რომ ეხუმრებოდნენ, ყურმილი დაუკიდა და კინაღამ მოგების გარეშე დარჩა.

მოგვიანებით მან მაინც შეამოწმა გათამაშების შედეგები და შეიტყო, რომ მართლაც მოიგო ლატარიაში 100 ათასი ავსტრალიური დოლარი. მან მაშინვე დაურეკა ნათესავს და კარგი ამბავი შეატყობინა. ლატარიის გამარჯვებულები მოგებული ფულით ახალი კომპიუტერის ყიდვას, გადასახადების გადახდასა და საზღვარგარეთ დასვენებას აპირებენ.

შემდეგ მამაკაცმა ლატარიის ორგანიზატორებს გადაურეკა და მოუბოდიშა. მან აღნიშნა, რომ ისინი მრავალი წლის განმავლობაში ყოველ კვირას თამაშობდნენ ლატარიას, მაგრამ არასდროს არაფერი მოუგიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## საზოგადოება

# ფესტივალი „თბილისი ოპენ ეარი“ 2021 წლისთვის გადაიდო

მუსიკალური ფესტივალი „თბილისი ოპენ ეარი“ 2020 წელს აღარ ჩატარდება. წელს დაგეგმილი ღონისძიებები მომავალი წლისთვის გადაიდო.

ინფორმაცია ფესტივალის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ყველა თქვენგანმა, ვინც წლებია, ოპენ ეარზე დადიხართ, იცით, თუ როგორ გვიძძმს ახლა და რას ნიშნავს ეს ჩვენთვის, თუმცა, სამწუხაროდ, ამჯერად უკვე დარწმუნებით გვიწევს გითხრათ, რომ 2020 წელი თბილისი ოპენ ეარის გარეშე ჩაივლის.




ჩვენი ფესტივალის დაარსების დღიდან მოყოლებული, ამ 11 წლის განმავლობაში თითქმის არც ერთი წელი არ ყოფილა სირთულეებისა და გამოწვევების გარეშე. მეტიც, რამდენიმეჯერ ფესტივალის ჩატარება-არჩატარების საკითხიც კი დამდგარა. ყოველ წელს ჩვენ ამ სირთულეებზე თქვენთან ერთად ვიმარჯვებდით და წინ მივიწევდით. სამწუხაროდ, 2020 წელი უკვე ნამდვილად აღარ გვაძლევს იმის საშუალებას, ვიყოთ ისეთი თავისუფლები, როგორებიც ყოველწლიურად ვართ ხოლმე ფესტივალზე. ეს შეგრძნება თავისუფლებისა ჩვენს ცნობიერებაში „მუსიკა ათავისუფლებს“ სლოგანადაა ამოტვიფრული და არნახულ ძალასა და სტიმულს გვაძლევს. როდესაც ყოველ წელს თქვენთან ერთად სცენის წინ ვდგავართ, ვხვდებით, რომ უამრავი სირთულის მიუხედავად, ამ საქმეს თავს ვერასდროს დავანებებთ.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ, ფესტივალის ორგანიზატორები, უამრავ ადამიანთან ერთად ვცდილობდით, გვეპოვა გზა, რომლის საშუალებითაც ამ გადაწყვეტილების მიღება აღარ მოგვიწევდა. ვეცნობოდით ყველა მასალასა და პროგნოზს, ვამუშავებდით ადგილობრივ და გლობალურ რეგულაციებს, ვაწარმოებდით კონსულტაციებსა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას ადგილობრივი და უცხოური ფესტივალების წარმომადგენლებთან, ვესაუბრებოდით ჩვენს არტისტებსა და კოლეგებს.

მიგვაჩნია, რომ თქვენს უსაფრთხოებაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ფესტივალის დამსწრეები, ჩვენი არტისტები, პარტნიორები, სპონსორები, ვენდორები, სტაფი, მოხალისეები და მთელი ის უზარმაზარი ჩემპიონთა ოჯახი, რომლის ერთობაც ქმნის ფესტივალს – ბუნებრივია, ჩვენთვის პრიორიტეტი სწორედ ამ ადამიანების დაცვა და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნაა. უკვე აშკარაა, რომ მოქმედი ან მოსალოდნელი რეგულაციები არ გვაძლევს იმის საშუალებას, ამ ადამიანებს ის უსაფრთხოების გარანტია მივცეთ, რომელიც დიდი მასშტაბის საერთაშორისო ფესტივალს მშვიდად და აუღელვებლად ჩაგვატარებინებს, თუნდაც შემოდგომაზე. დედამიწის თითქმის ყველა წერტილში წელს დაგეგმილი დაახლოებით 2000 ფესტივალიდან 1.900-ზე მეტი უკვე გაუქმდა ან გადაიდო. სამწუხაროდ, გამონაკლისი ვერც ჩვენ ვიქნებით.

მადლობა იმ ადამიანებს, რომლებიც გაიგებენ ამ პოზიციას და გვერდით დაგვიდგებიან. დარწმუნებული ვართ, რომ ერთად გადავლახავთ ამ ურთულეს პერიოდს და 2021 წელს ისეთ ფესტივალს შემოგთავაზებთ, რომელიც წლევანდელ იმედგაცრუებასა და ორწლიან მოლოდინს სრულიად აანაზღაურებს. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დავიწყეთ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვარღვევთ ტრადიციას და 2021 წლის ფესტივალის თარიღებს ახლავე ვაცხადებთ: თბილისი ოპენ ეარი 2021 ჩატარდება 25-26-27 ივნისს. მოვახერხეთ მოლაპარაკება ჩვენი წლევანდელი უცხოელი ჰედლაინერების უმეტესობასთან. წლევანდელი ლაინაფიდან ქართველი არტისტების დიდი ნაწილიც შემოგვიერთდება ერთი წლის შემდეგ. 2021 წლის ფესტივალზე აუცილებლად დაემატება რამდენიმე უცხოელი ჰედლაინერი ყველა სცენაზე და საბოლოო ლაინაფს უკვე გაისად, გაზაფხულზე გაგაცნობთ.

ყველა, ვინც წლევანდელი ფესტივალის აბონემენტის შეძენა მოასწრო, ბუნებრივია, 2021-საც უფასოდ დაესწრება. სასაჩუქრე საშვებს დავამზადებთ და სექტემბერში გავცემთ.

გვჯერა, 2021 წელს ერთმანეთს აუცილებლად ვიხილავთ და თავისუფლების ჟანგბადსაც კიდევ ერთხელ ჩავისუნთქავთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# რუსუდან სებისკვერაძემ საკუთარი არქივიდან უნიკალური კადრები გაასაჯაროვა



კომპოზიტორმა რუსუდან სებისკვერაძემ პირადი არქივიდან უნიკალური კადრები გაასაჯაროვა. ზაურ ბოლქვაძის, გოგი დოლიძის, გურამ თამაზაშვილისა და დავით გოგიაშვილის სტუმრობა კომპოზიტორთან და მათი რეპეტიციის ჩანაწერი 1992 წელს არის გადაღებული.

ანსამბლ „ქართული ხმების“ უფროსი თაობის ვიდეოში რუსუდან სებისკვერაძის ორ ახალ სიმღერას სწავლობენ: „გვიყვარდეს დედაბუნება“ და „მარტოხელა ქალბატონო“.

სოციალურ ქსელში გავრცელებულმა ვიდეომ უფროსი თაობის მომხმარებლებში დიდი მოწონება და უამრავი გაზიარება დაიმსახურა.

## ჟირაფი ტურისტების ჯიპს გამოეკიდა და ყველა შეაშინა



აფრიკის ერთ-ერთ ნაკრძალში ჟირაფი გამოეკიდა ჯიპს, რომელშიც ტურისტები იმყოფებოდნენ და ადამიანები შეაშინა.

ინდოეთის სატყეო მეურნეობის ოფიცერმა სუდხა რამენმა ტვიტერში გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ჩანს, თუ როგორ მისდევს საფარი-ჯიპს ჟირაფი. აღნიშნული ვიდეო მან ფეისბუქში ნახა და შემდეგ საგანმანათლებლო მიზნით გამოაქვეყნა. ცხოველმა თანდათან მოახერხა სატრანსპორტო საშუალებას გათანაბრებოდა და გაესწრო კიდეც მისთვის. მას შემდეგ, რაც ცხოველმა ავტომობილს გაუსწრო, შეჩერდა, შემოტრიალდა და ჯიპის მგზავრები შეათვალიერა.

ჟირაფი მანქანისკენ წავიდა, მძღოლმა კი უკანა სიჩქარე ჩართო, რათა ტურისტები უსაფრთხო მანძილით დაეშორებინა ცხოველისთვის. აქ ვიდეო წყდება.

საკუთარ კომენტარში რამენმა შენიშნა, რომ ჟირაფს ძალიან ძლიერი დარტყმა აქვს. მას ფეხის ერთი დარტყმით ნებისმიერი არსების დაგდება შეუძლია. ინდოელმა მეტყევემ ასევე აღნიშნა, რომ ჟირაფი საკმაოდ სწრაფად დარბის და ამას მეტად გრაციოზულად აკეთებს.

## ქმარმა ცოლს არ დაუჯერა და გამდიდრდა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის მკვიდრი ამტკიცებს, რომ ცოლის ტუალეტით სარგებლობის მოულოდნელმა სურვილმა მას ნახევარი მილიონი დოლარის მოგება მოუტანა.

ანონიმად დარჩენის მსურველმა ამერიკელმა განაცხადა, რომ მოულოდნელად ცოლმა სთხოვა, რომ ავტოგასამართ სადგურზე შეევლო, რათა ტუალეტით ესარგებლა. მან გადაწყვიტა, რომ მომენტით ესარგებლა და ბარემ მანქანის ავზიც შეევსო საწვავით. ამ დროს მან შენიშნა, რომ სხვა მძღოლი ლატარიის ბილეთზე დამცავ შრეს ფხეკდა. მან ცოლს წინასწარ განუცხადა, რომ თავადაც აპირებდა ლატარიის ბილეთის ყიდვას.

– მე მაშინვე ვუთხარი: „არა, არ გინდა!“ – იხსენებს ქალი. ქმარმა ცოლს არ დაუჯერა. მომენტალური ლატარიის ბილეთი შეიძინა, რომლის მთავარ პრიზს ნახევარი მილიონი დოლარი შეადგენდა და ჯეკპოტი მოხსნა.

ლატარიის გამარჯვებული მამაკაცი და მისი ცოლი მოგებული თანხით ახალი მანქანის ყიდვას და მომავალში სამოგზაუროდ წასვლას გეგმავენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

## სამგლოვიარო განცხადებები

### დალი ჯანაშია-ტორონჯაძის
### გახსენება

მიილია მძიმე და თვალცრემლიანი 40 დღე, რომელმაც სამუდამოდ დაგვაშორა ერთმანეთს!

ეს იყო ჩვენი ტანჯვის 40 დღე და შენი სულის ამაღლების დღესასწაული!

ცრემლიანი თვალებით შევყურებთ მომავალს, რაც დრო გადის, უფრო ვგრძნობთ შენს სულიერ სიმდიდრეს, შენ ხომ ადამიანები გიყვარდა, ყველასათვის კეთილმოსურნე და დამხმარე იყავი.

ჩემო ლამაზო დაო, აკლიხარ ყველას – შენს შვილებს, შვილიშვილებს, მეგობრებს, ნათესავებსა და ყველაზე მეტად შენს მეუღლეს.

ნათელში იყოს შენი სული!

*შენი და კუსა ტორონჯაძე*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## ბურჯანაძისა და მაკფადენის მარცხი




ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური ფაზის ჯგუფურ ეტაპზე დასანანი მარცხი განიცადა ბექა ბურჯანაძის გრან კანარიამ, რომელიც ბოლოსწინა ტურში აუტსაიდერ სარაგოსას შეხვდა და გამარჯვების შემთხვევაში ნახევარფინალის საგზურს მნიშვნელოვნად უახლოვდებოდა. ბოლო პერიოდამდე კანარელები ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ 76:85 წააგეს, რაც, შესაძლოა, ჯგუფში ჩარჩენად დაუჯდეთ.

გრან კანარიას 4 მატჩიდან 2 მოგება და 2 მარცხი აქვს და 26 ივნისს ბოლო ტურში მასპინძელ ვალენსიას ხვდება.

სარაგოსასთან შეხვედრაში ბექა გრან კანარიას სასტარტოში არ ყოფილა, თუმცა გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან 22 წუთში 14 ქულა მოუტანა გუნდს და გუნდში მხოლოდ ოკოიეს (17 ქულა ჩამორჩა). ბექას ანგარიშზე 2 სამქულიანია. მან 4 მოხსნა და 1 ჩაჭრაც მიითვალა.

ბურჯანაძის გუნდის მარცხით ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოჩნდა ჩვენი ნაკრების წევრი თად მაკფადენის ბურგოსი, რომელსაც 2 მოგების წილ 1 მარცხი ჰქონდა და მასპინძელ ვალენსიას ეთამაშებოდა.

ბურგოსი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა, სხვაობა მუდმივად 10 ქულაზე მეტს შეადგენდა, მაგრამ... ვალენსია წინ მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე გავიდა და საქმეც ბოლომდე მიიყვანა – 94:90. მაკფადენს კარგი თამაში ნამდვილად არ ჰქონია – მხოლოდ 4 ქულა დააგროვა.

ა ჯგუფში უკვე გადაწყდა, რომ შემდეგ ეტაპზე ბარსელონა და თორნიკე შენგელიას ბასკონია გავლენ. აი, ბ ჯგუფში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დიდი ალბათობით, ჯგუფში ჩარჩება მადრიდის რეალი, თუმცა ნახევარფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ აქვს.

მოკლედ, ბ ჯგუფში ასეთი სიტუაციაა: ვალენსიას 6 ქულა აქვს, ანდორას, რეალს, ბურგოსსა და გრან კანარიას – 4-4. ბოლო ტურში რეალი აუტსაიდერ სარაგოსას ხვდება, მაგრამ, დიდი შანსია, ამან არ უშველოს. ვალენსია-გრან კანარია და ანდორა-ბურგოსი – ასეთია ჯგუფის ბოლო ტური.

## შედეგები

**24 ივნისი**
**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-ბორნმუთი ........ 1:0
მანჩესტერი-შეფილდი ........ 3:0
ნორვიჩი-ევერტონი ........ 0:1
ნიუკასლი-ასტონვილა ........ 1:1
ლივერპული-კრ.პალასი ........ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 31 | 28 | 2 | 1 | 70-21 | 84 |
| 2.სიტი | 30 | 20 | 3 | 7 | 76-31 | 63 |
| 3.ლესტერი | 31 | 16 | 7 | 8 | 59-29 | 55 |
| 4.ჩელსი | 30 | 15 | 6 | 9 | 53-40 | 51 |
| 5.მანჩესტერი | 31 | 13 | 10 | 8 | 48-31 | 49 |
| 6.ვულვზი | 31 | 12 | 13 | 6 | 44-34 | 49 |
| 7.ტოტენჰემი | 31 | 12 | 9 | 10 | 50-41 | 45 |
| 8.შეფილდი | 31 | 11 | 11 | 9 | 30-31 | 44 |
| 9.კრ.პალასი | 31 | 11 | 9 | 11 | 28-36 | 42 |
| 10.ევერტონი | 31 | 11 | 8 | 12 | 38-46 | 41 |
| 11.არსენალი | 30 | 9 | 13 | 8 | 41-41 | 40 |
| 12.ბარნლი | 30 | 11 | 6 | 13 | 34-45 | 39 |
| 13.ნიუკასლი | 31 | 10 | 9 | 12 | 29-42 | 39 |
| 14.საუთჰემპტონი | 30 | 11 | 4 | 15 | 38-52 | 37 |
| 15.ბრაიტონი | 31 | 7 | 12 | 12 | 34-41 | 33 |
| 16.უოტფორდი | 30 | 6 | 10 | 14 | 28-45 | 28 |
| 17.ვესტ ჰემი | 31 | 7 | 6 | 18 | 35-54 | 27 |
| 18.ბორნმუთი | 31 | 7 | 6 | 18 | 29-50 | 27 |
| 19.ასტონ ვილა | 31 | 7 | 6 | 18 | 36-59 | 27 |
| 20.ნორვიჩი | 31 | 5 | 6 | 20 | 25-56 | 21 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ოსასუნა ........ 0:1
სოსიედადი-სელტა ........ 0:1
რეალი-მალიორკა ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 31 | 20 | 8 | 3 | 59-21 | 68 |
| 2.ბარსელონა | 31 | 21 | 5 | 5 | 70-31 | 68 |
| 3.ატლეტიკო | 31 | 14 | 13 | 4 | 39-22 | 55 |
| 4.სევილია | 31 | 14 | 11 | 6 | 44-32 | 53 |
| 5.ხეტაფე | 31 | 13 | 10 | 8 | 40-29 | 49 |
| 6.ვილიარეალი | 31 | 14 | 6 | 11 | 49-40 | 48 |
| 7.სოსიედადი | 31 | 14 | 5 | 12 | 47-39 | 47 |
| 8.ვალენსია | 30 | 12 | 10 | 8 | 41-43 | 46 |
| 9.გრანადა | 31 | 12 | 7 | 12 | 37-36 | 43 |
| 10.ბილბაო | 31 | 10 | 12 | 9 | 33-27 | 42 |
| 11.ლევანტე | 31 | 11 | 5 | 15 | 37-44 | 38 |
| 12.ოსასუნა | 31 | 9 | 11 | 11 | 36-46 | 38 |
| 13.ალავესი | 31 | 9 | 8 | 14 | 31-46 | 35 |
| 14.ბეტისი | 30 | 8 | 10 | 12 | 40-48 | 34 |
| 15.ვალიადოლიდი | 31 | 7 | 13 | 11 | 26-36 | 34 |
| 16.სელტა | 31 | 7 | 12 | 12 | 29-35 | 33 |
| 17.ერიბარი | 30 | 7 | 8 | 15 | 31-47 | 29 |
| 18.მალიორკა | 31 | 7 | 5 | 19 | 29-52 | 26 |
| 19.ლეგანესი | 31 | 5 | 10 | 16 | 23-44 | 25 |
| 20.ესპანიოლი | 30 | 5 | 9 | 16 | 26-49 | 24 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-ნუმანსია ........ 2:0
ტენერიფე-მირანდესი ........ 4:1
უესკა-კადისი ........ 1:1
ალბასეტე-ლას პალმასი ........ 0:0
პონფერადინა-რასინგი ........ 1:1

### იტალია. სერია ა

ინტერი-სასუოლო ........ 3:3
ატალანტა-ლაციო ........ 3:2
რომა-სამპდორია ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 27 | 21 | 3 | 3 | 52-24 | 66 |
| 2.ლაციო | 27 | 19 | 5 | 3 | 62-26 | 62 |
| 3.ინტერი | 27 | 17 | 7 | 3 | 54-28 | 58 |
| 4.ატალანტა | 27 | 16 | 6 | 5 | 77-37 | 54 |
| 5.რომა | 27 | 14 | 6 | 7 | 53-36 | 48 |
| 6.ნაპოლი | 27 | 12 | 6 | 9 | 43-36 | 42 |
| 7.პარმა | 27 | 11 | 6 | 10 | 37-33 | 39 |
| 8.მილანი | 27 | 11 | 6 | 10 | 32-35 | 39 |
| 9.ვერონა | 27 | 10 | 8 | 9 | 31-29 | 38 |
| 10.კალიარი | 27 | 9 | 8 | 10 | 43-42 | 35 |
| 11.ბოლონია | 27 | 9 | 7 | 11 | 38-44 | 34 |
| 12.სასუოლო | 27 | 9 | 6 | 12 | 45-46 | 33 |
| 13.ფიორენტინა | 27 | 7 | 10 | 10 | 33-37 | 31 |
| 14.ტორინო | 27 | 9 | 4 | 14 | 30-46 | 31 |
| 15.უდინეზე | 27 | 7 | 7 | 13 | 21-38 | 28 |
| 16.სამპდორია | 27 | 7 | 5 | 15 | 30-48 | 26 |
| 17.ჯენოა | 27 | 6 | 7 | 14 | 32-51 | 25 |
| 18.ლეჩე | 27 | 6 | 7 | 14 | 35-60 | 25 |
| 19.სპალი | 27 | 5 | 3 | 19 | 20-45 | 18 |
| 20.ბრეშა | 27 | 4 | 5 | 18 | 23-50 | 17 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ტონდელა-ფერეირა ........ 1:3
მორეირენშე-ფამალიკაო ........ 1:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

ქსამაქსი-ბაზელი ........ 1:2
ლუგანო-ლუცერნი ........ 2:0
სიონი-სერვეტი ........ 1:1

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-შტურმი ........ 2:0
ჰარტბერგი-ლინცერი ........ 1:5
რაპიდი-ზალცბურგი ........ 2:7

### ჩეხეთი. 1 ლიგა

იაბლონეცი-ლიბერეცი ........ 1:1
სლავია-პლზენი ........ 1:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეხია-პიასტი ........ 1:0
ლეხი-პოგონი ........ 0:0
იაგელონია-ლეგია ........ 0:0

### ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-მიონდალენი ........ 1:1
ალესუნდი-ბრანი ........ 2:2
სტაბეკი-სანდეფიორდი ........ 2:0
სტარტი-მიოლდე ........ 2:3
ჰაუგესუნდი-კრისტიანსუნდი ........ 2:2
ოდ გრელანდი-ვალერენგა ........ 4:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 3. ადამიანი, რომელიც მკაცრად იცავს ზნეობას; 4. დოსტოევსკის რომანი; 5. უმოტორო თვითმფრინავი; 6. თხზულება „აბდულმესიანის“ ავტორი; 11. ლითონის ზედაპირის დასამუშავებელი მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 13. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ატმოსფეროს ზედა ფენა; 15. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. მდინარე ბრაზილიაში, პარაგვაისა და არგენტინაში; 19. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად.

**თარაზულად**: 7. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 8. გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატის სახელწოდება; 9. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 12. ორკორპუსიანი გემი; 14. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 16. ფრანგული ლიქიორი; 18. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 20. ბეჭდვით პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 21. დროის ისტორიული მონაკვეთი; 22. მონასელიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 23. ქართული გაზეთი; 24. რაიონული ცენტრი გურიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ვაქცინა; 2. ბადაგონი; 3. კალაძე; 4. მესხი; 5. ვიეტნამი; 8. მაშარაბი; 12. კენი; 13. რამაიანა; 14. ორძელი; 16. ლოსიონი; 18. ბანჯო; 20. ქოცო.

**თარაზულად:** 6. ნაფტუსია; 7. კლარნეტი; 8. მორალი; 9. დიუმა; 10. მოწამეთა; 11. კონკლავი; 15. კარაბინერი; 17. მაღარო; 19. ლენქორანი; 21. ჰანსუნი; 22. იაკიტორია; 23. ლონდონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. ეკერი; 3. გალენიტი; 4. რიგელი; 5. თაღლითი; 6. დარნიცა; 11. ბიგლი; 13. ტრუიზმი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. ლიმიტი; 18. ტოლედო; 19. გეტა.

**თარაზულად:** 7. სულიკო; 8. კალიგრაფია; 9. აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. კლაუზულა; 18. ტალავარი; 20. ალაფი; 21. ონი; 22. დიამბეგი; 23. ქისი; 24. იაკიტორია.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ივნისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0556

ევრო — 3.4528

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8278

100 რუსული რუბლი — 4.4222

## ამინდის პროგნოზი 26 ივნისისათვის




## მესი: „ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს“



ბარსელონის კაპიტანმა ლიონელ მესიმ ესპანეთის ჩემპიონატზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას აქვს ჩემპიონობის შანსი, მაგრამ ამისთვის საჭიროა, გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგოს.

— ყველა ფეხბურთელს კარგად ესმის, რომ ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს და დარჩენილი მატჩები უნდა მოვიგოთ. თუ ასე მოხდა, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონები გავხდებით და რეალს ფეხი დაუცდება. ცუდია, რომ სევილიას ვერ მოვუგეთ, მაგრამ შანსები ისევ გვაქვს.

შემდეგ შეხვედრას ბარსელონა შაბათს სელტას წინააღმდეგ გამართავს.

## ლიონის პრეზიდენტი: „რონალდუ ისეთი აღარ არის“



ლიონის პრეზიდენტმა ჟაკ მიშელ ოლამ კრიშტიანო რონალდუზე ისაუბრა და თქვა, რომ პორტუგალიელი ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე.

ლიონი იუვენტუსის მეტოქეა ჩემპიონთა ლიგაში და პირველი შეხვედრა ფრანგებმა საკუთარ მოედანზე 1:0 მოიგეს.

— იუვენტუსთან განმეორებით შეხვედრაში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ შანსები გვაქვს, რადგან პირველი მატჩი მოვიგეთ. გარდა ამისა, ვთვლი, რომ კრიშტიანო რონალდუ უკვე ისეთი აღარ არის, როგორიც ადრე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის პრობლემებს არ შეგვიქმნის, — განაცხადა ოლამ.

## მაურისიო სარის ფიორენტინაში ელიან



ტურინის იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი მაურისიო სარი, შესაძლოა, გაათავისუფლონ, რადგან გულშემატკივარი მისით კმაყოფილი არ არის და მას რამდენიმე ფეხბურთელთან კონფლიქტი აქვს. თუ სარიმ იუვენტუსი დატოვა, მაშინ მას ფიორენტინაში ელიან, სადაც ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

თავად სარი უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ის იუვენტუსიდან შეიძლება წავიდეს და ამ ყველაფერს ჭორებს უწოდებს.

## კურტუა ლა ლიგაში ყველაზე ნაკლებ გოლს უშვებს



მადრიდის რეალის მეკარე ტიბო კურტუა ლა ლიგაში ყველაზე ნაკლებ გოლს უშვებს და ამ მაჩვენებლით მან იან ობლაკსაც გაასწრო, რომელიც წინა სეზონებში უპირობო ლიდერი იყო. კურტუამ წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით მხოლოდ 18 გოლი გაუშვა.

ბუნებრივია, ეს მხოლოდ მისი დამსახურება არ არის, რადგან წელს რეალის დაცვა საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 26 ივნისისათვის

**ვერძი** — იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** — საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** — კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** — პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** — კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** — სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდენით. **მორიელი** — გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** — ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** — სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** — მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** — სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ზღვაზე მამაკაცი ქალს ეუბნება:

— მოდით, ამაღამ შიშვლებმა ვიცუროთ!

— ვაი მე, ცურვა რომ არ ვიცი!

— არც არის საჭირო!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— როგორ მშურს კოლოების...

— რატომ?

— იმიტომ, რომ ექვსის მერე ჭამას არავინ უკრძალავს, მაგრამ სადმე მსუქანი კოლო გინახავს?...

●●●

ქალი:

— მოდი, მე და შენ წავიდეთ, მხოლოდ მე და შენ და რაც იქნება, იქნება...

— ქალბატონო, კიდევ ერთხელ გიმეორებთ: სანამ „მარშრუტკა“ არ შეივსება, არსადაც არ წავალთ!

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და მძღოლს ეუბნება:

— თუ შეიძლება თქვენი საბუთები, სერ!

— რატომ სერ?

— იმიტომ, რომ გზის მარცხენა მხარეს მოძრაობთ!

●●●

ქალი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, როდის დასრულდება კორონავირუსი?

— არ ვიცი, პოლიტიკა არ მაინტერესებს.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

— როგორ გაიცანით ერთმანეთი, შენ და შენმა მეუღლემ?

— აფთიაქში ვმუშაობ. ერთხელ შემოვიდა და მითხრა, რომ პრეზერვატივის ყიდვა უნდოდა, მე ვკითხე, რა ზომა სურდა, მან კი მიპასუხა: „XXXXXL-ი“...

— მერე?

— მხოლოდ ქორწილის მერე გავიგე, რომ ენა ებმებოდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თემურ თათარაშვილი თბილისის მერს მიმართავს




მომღერალი თემურ თათარაშვილი თბილისის მერ კახა კალაძეს მიმართავს და ვაკე-საბურთალოს რაიონში 27-სართულიანი სახლების მშენებლობას აპროტესტებს:

— ბატონო კახი კალაძე, ახლა ვუსმინე თქვენს ბრიფინგს, სადაც გამოკვეთილად აღნიშნეთ, რეკრიაციულ ზონებში არა და ვერ აშენდება სახლები და საოფისე ნაგებობებიო, განვმეორდები, არა და ვერ. მობრძანდით და ნახავთ, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონში, მამია გურიელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაიწყეს ორი 27-სართულიანი სახლის მშენებლობა. ალბათ არ იცით ამ მშენებლობის შესახებ და, იმედს ვიქონიებ, მიაქცევთ ყურადღებას! იქნებ ამ უბნის ბავშვები არ არიან ღირსი, რომ ჰქონდეთ სპორტული მოედანი ან მოსასვენებელი ადგილი?

## ვახტანგ კახიძემ გალაკტიონის „ქარი ქრის“ აამღერა



თბილისის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელმა, დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსი „ქარი ქრის“ აამღერა.

ლექსზე მუსიკოსმა სიმღერა დაწერა, რომელსაც სპეციალური ვიდეორგოლიც მიუძღვნა და ინტერნეტში განათავსა.

ვახტანგ კახიძის ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მას მსმენელთა უმრავლესობამ დიდებული უწოდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გალაკტიონის „ქარი ქრის“ კომპოზიტორის შთაგონების წყარო გახდა. წლების წინ კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა ამავე ლექსზე სიმღერა დაწერა, რომელიც მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა შეასრულა და მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

## სოფელ თონეთში ვაჟა-ფშაველას სკოლა გაიხსნება



სოფელ თონეთში, იმ დანგრეული სკოლის შენობაში, სადაც ვაჟა— ფშაველა მასწავლებლობდა, ვაჟას სკოლა გაიხსნება.

ინიციატივის ავტორები ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე და სოფელ თონეთის მკვიდრი, მწერალი დათია ბადალაშვილი არიან:

— იყო დრო, ვაჟა-ფშაველა სოფელ თონეთში მასწავლებლობდა. მერე ხალხს გამოესარჩლა და, როგორც ჩვენი სამწუხარო წესია, სოფლის მაშინდელმა მმართველებმა გამოაგდეს. ჰოდა, ერთი კარგი თონეთელი ბიჭია, დათია ბადალაშვილი — ბევრი იცნობთ. მან მაჩვენა ამ სკოლის ნანგრევები. გორაკზე დგას, საქონლის შესაფარად ქცეული.

ახლა მე და დათიამ გადავწყვიტეთ, ვაჟა თონეთში დავაბრუნოთ და ეს ორი ოთახი აღვადგინოთ — ბიბლიოთეკად და სახელოვნებო სივრცედ ვაქციოთ. ასე ვფიქრობ — ვაჟას სკოლა დავარქვათ. სივრცე, „ნაშენობარი“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს არ ეკუთვნის, მათგან სურვილი და თანხმობა გვაქვს. მალე სახელმწიფოს შესაბამის წერილს წარვუდგენთ, დროებით გადმოგვცეს და, იმედი გვაქვს, თანხმობა იქნება. ათწლეულებია, ასე დგას და ვაჟას ელოდება. ის ფშაველი გენიოსი კიდევ თონეთში კი არა, მთელ საქართველოშია დასაბრუნებელი. ამისთვის დიდი ომი გვჭირდება.

ამ მცირე ბრძოლას კი დღეიდან ვიწყებთ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## გივი გაჩეჩილაძე ანა ქასრაშვილს ჰოლივუდის წითელ ხალიჩას უწინასწარმეტყველებს



თბილისის ბიგ ბენდის სამხატვრო ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე ბათუმელ კომპოზიტორ ანა ქასრაშვილს ჰოლივუდის წითელ ხალიჩას უწინასწარმეტყველებს. ამ განცხადების გაკეთების საფუძველს მას ახალგაზრდა კომპოზიტორის ნამუშევრები აძლევს:

— რა ვთქვა... ვიცი, რომ ბევრი სუბიექტურობას მომაწერს. ვარ კიდევაც... სათქმელი უნდა ითქვას.

ნუ მიწყენენ ოპონენტები, მაგრამ ჩემი 62-წლიანი გამოცდილება მიძლიერებს რწმენას, რომ საქართველოს ჰყავს მსოფლიო დონისა და უდიდესი ნიჭის კომპოზიტორი ანა ქასრაშვილი და გამოვხატო ის შთაბეჭდილებები, რასაც განვიცდი ბათუმელი კომპოზოტორის მუსიკის მოსმენით.

უფალს ვეუბნები მადლობას, რომ ის საქართველოში მოღვაწეობს, მაგრამ, ამავე დროს, გულსატკენია, რომ ჩვენი მსმენელი მას მხოლოდ საზღვარგარეთ პრესტიჟულ კონკურსებში გამარჯვებული ინფორმაციებით იცნობს.

დავაანონსებ, რომ ის ჰოლივუდის წითელ ხალიჩაზე მალე გაივლის...

იცნობდეთ ანა ქასრაშვილს და მოისმინეთ თუნდაც ერთი მცირე ნაწარმოები-შედევრი, რომელმაც ერთ-ერთ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა... გზა წარმატებისა, ანა!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყირგიზეთის დედაქალაქი; 2. თიხის მოხატული და მოჭიქული ჭურჭელი; 3. გარდაბნის ძველი სახელწოდება; 4. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 5. სამეფო საგვარეულო; 8. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები; 12. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. უბანი თბილისში; 16. მარცვლეული კულტურა; 18. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. სასულიერო ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება.

**თარაზულად**: 6. ძმრით, ფქვილით, ხახვითა და ათქვეფილი კვერცხით მომზადებული, მოხარშული ქათმის წვნიანი კერძი; 7. სკანდინავიელი პოეტი-მომღერალი; 8. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 10. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. კოსოვოს დედაქალაქი; 15. მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად, ცილისწამება; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 22. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 23. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

